სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 მარტი 2004 №47 (2066) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟირესი სააკაშვილს არ დაელოდება

პარასკევი, პარიზი – თბილისი: გურულივით აჩქარებულ ფრანგს გურული ჩამოჰყავს

პარასკევს თბილისში პარიზიდან თვითმფრინავი რომ ჩამოფრინდება, ალან ჟირესს და მის თანაშემწე გია გურულს ჩამოიყვანს. რისთვის ჩამოდის ჟირესი თბილისში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

გეხსომებათ, რომ მერაბ ჟორდანიას და მიშელ პლატინის საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელი პრეზიდენტ სააკაშვილისთვის მისი საფრანგეთის ვიზიტისას უნდა წარედგინათ. მაგრამ თუ ჟირესი თბილისში პარასკევს ჩამოდის — და ნაღდად ჩამოდის — პარიზული პრეზენტაცია აზრს კარგავს. საფიქრებელია, რომ ჟირესთან კონტრაქტი ამ კვირაშივე თბილისში გაფორმდება.

არც ის არის გამორიცხული, რომ ჩია ფრანგს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც ჩააბარონ. ყოველ შემთხვევაში, ასაკობრივ ნაკრებთა კურატორად ალბათ დანიშნავენ. კონტრაქტს კი ამ შესარჩევი ციკლის ბოლომდე გაუფორმებენ.

ინტერვიუები ალენ ჟირესთან და გია გურულთან იხილეთ მეორე და მესამე გვერდებზე

ფენოვანი ფეხბურთზე დამშეულთათვის

ბადრი კეთილაძის ფოტო

ურიონი — ამერი 0:5. ხუთიდან ერთი საფეხბურთო დრამა „ურიონის“ კარში

დღეს საქართველოს თასის მერვედფინალის წილისყრაა. გუშინწინ და გუშინ კი მეთექვსმეტედფინალის თამაშები იყო.

სენსაცია არ ყოფილა — თორმეტივე უმაღლესლიგელი მომდევნო ეტაპზე გავიდა და ნაღდი ბრძოლაც ახლა დაიწყება, უმაღლესლიგელები ერთმანეთს რომ გადაეყრებიან. მოგეხსენებათ, პირველ ეტაპზე ისინი და ოთხი საუკეთესო პირველლიგელი განთესილები იყვნენ.

ერთი ეგაა, მეთექვსმეტედფინალიდან გავარდა „ცხინვალი“, პირველი ლიგის ლიდერთაგანი და განთესილი, რომელიც რეგიონალლიგელმა „ჰერეთმა“ დაჯაბნა. თუმცა ეს დიდი სენსაცია არც არის, რაკი ცხინვალელები თასს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და მიზნად უმაღლესი ლიგა დაუსახავთ.

თორმეტ უმაღლესლიგელთან და „ჰერეთთან“ ერთად მერვედფინალში სამი პირველლიგელი გავიდა — „ქობულეთი“, „სამგურალი“ და „ამერი“.

წილისყრა, როგორც მოგახსენეთ, დღესაა, პირველი მერვედფინალური მატჩები კი უკვე ამ შაბათს გაიმართება. ხოლო მეოთხედფინალისტთა ვინაობა ჩემპიონატის განახლებამდე გვეცოდინება.

ფეხბურთი 2004 ქეფეგ ჩემპიონატი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ჩვენი გაგვჭირვებია!

ალბანეთმა უკრაინას ხელი აუკრა

უკრაინა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ჯგუფის კალენდრის შედგენა რა სახათაბალო საქმეც გამოდგა, ყველამ იცით. ისიც გეცოდინებათ, ჩვენი ჯგუფის განრიგის შედგენას ფიფას ჩარევა რომ დასჭირდა. ჰოდა, ალბანელთა აზრით, ყველაზე მეტად ისინი გაიჭყლიტნენ. კენჭისყრამ გაგვწირაო, შემოგვჩივლა მაშინ ალბანელთა გერმანელმა თავკაცმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა.

წაქცეულისთვის ფეხის მიყოლება უკრაინელებმა სცადეს და კალენდარში ცვლილების შეტანა მოინდომეს. უკრაინა ალბანეთს მომავალი წლის თებერვალში ეთამაშება, მაგრამ...

— თებერვალში თამაში ხელს არ გვაძლევს. ეს თვე ჩვენთვის ყველაზე უარესია, რაც ამასწინათ ლიბიასთან ამხანაგურ მატჩშიც კარგად გამოჩნდა. ფეხბურთელების ფუნქციურ მდგომარეობაში დიდი სხვაობებია და ეს ძალიან მაშფოთებს. ლიბიასთანაც კი საოცარი შეცდომები დავუშვით და ეჭვი მაქვს, ალბანეთთანაც ასე იქნება — განაცხადა გუშინწინ უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა.

უკრაინელებმა ალბანელებთან მოლაპარაკება წამოიწყეს და ამ მატჩის აგვისტოში გადატანას ითხოვენ, მაგრამ სასურველ შედეგს ჯერაც ვერ მიაღწიეს. ბლოხინისვე თქმით, ალბანელები უარზე არიან და ამ საქმისგან ხეირს არ ელის.

— ასეთ შემთხვევაში, ფედერაციას ვთხოვ, ალბანეთთან თამაშის წინ ორკვირიანი შეკრება გაგვიხერხოს. სხვაგვარად ნაკრების მომზადება გამიჭირდება — დაამატა ბლოხინმა.

უკრაინელებს ეს საქმე თუ არ გამოუვიდათ, სამაგიეროდ, მეორე გაახერხეს. მათი ინგლისელებთან მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ინგლისი ამხანაგურ მატჩში ოლეგ ბლოხინის გუნდს შინ გაეჯიბრება.

კახა შალამბერიძე

ჰანს-პეტერ ბრიგელი და ოლეგ ბლოხინი ვერ შეთანხმდნენ

ინგლისი

I დივიზიონი. XXXIV ტური

ბრედფორდი : უოტფორდი გადაიდო
ბარნლი 1:1 ვესტ ჰემი
კარდიფი 0:1 ქოვენთრი
ჯილინგემი : უიგანი გადაიდო
ნორვიჩი 0:0 ვესტ ბრომვიჩი
პრესტონი 2:1 რედინგი
როტერჰემი : კრ. პალასი გადაიდო
შეფილდ იუნ. 2:1 მილუოლი
სტოკი 2:0 იფსვიჩი
უიმბლდონი 0:1 ნოტინგემი

II დივიზიონი XXXIV ტური

ბარნსლი 0:1 პიტერბრო
ბრაიტონი 1:0 ბრენტფორდი
ბრისტოლი 1:1 უიკომბი
კოლჩესტერი 2:1 სტოკპორტი
ჰარტლპული 2:0 ჩესტერფილდი
ლუტონი : ბორნმუთი გადაიდო
ნოტსი 3:1 გრიმსბი
ოლდჰემი : რეძსემი გადაიდო
პლიმუთი 2:0 შეფილდ უენსდი
ქუინზ პარკი 3:2 პორტ ვეილი
რაშდენი 0:0 ბლეკპული

III დივიზიონი. XXXIV ტური

დარლინგტონი : ჩელტენჰემი გადაიდო
სკანთორპი : კარლაილი გადაიდო
კემბრიჯი 0:1 სუონსი
ჰადერსფილდი 3:1 იოვილი
კიდერმინსტერი 2:1 ნორთჰემპტონი
ლეიტონი 1:1 როუერსი
მაკლსფილდი : ლინკოლნი გადაიდო
მენსფილდი : ტორკი გადაიდო
როჩდელი : დონკასტერი გადაიდო

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

სკარბორო : ჰალიფაქსი გადაიდო
შრიუსბერი 1:0 უოძინგი
ტელფორდი 0:3 ჰერეფორდი

შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ფოლკირკი 2:1 ინვერნესი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

ერდრი 3:0 ჰამილტონი
დამბარტონი : სტენჰაუზმური გადაიდო
მორტონი : ალოა გადაიდო
ფორფარი — არბროთი გადაიდო

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

ისტ სტირლინგი 2:4 ქუინზ პარკი
ელგინი : კოუდენბითი გადაიდო
გრეტნა 1:0 სტირლინგი
ალბიონი — პიტერჰედი გადაიდო

ჰოლანდია

II დივიზიონი
გადადებული მატჩები

იგლსი 1:2 გრაფშაპი
ოსი 1:2 ჰერაკლესი

რუსეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი

ტომი 0:0 მოსკვა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ფრანგი ალენ ჟირესი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს და ეროვნულ გუნდს ჩაიბარებს. ეს ამბავი, მოგეხსენებათ, ამ რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ და ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ დაგვიდასტურა კიდეც. მისი თქმით, ჟირესთან კონტრაქტის ყველა დეტალი შეთანხმებულია და ხელმოწერალა აკლია. სხვას ამბობს თავად ალენ ჟირესი. ის არ უარყოფს, რომ მერაბ ჟორდანიას ორიოდ დღის წინ საფრანგეთში მართლაც შეხვდა, თუმც არ ამბობს, რომ ნაკრების თავკაცად მისი დანიშვნა უკვე გადაწყვეტილია. ისე კი, მწვრთნელებს კონტრაქტის გაფორმებამდე სჩვევიათ ხოლმე მიკიბულ-მოკიბული, ზოგადი ფრაზებით საუბარი და აკი ჟირესთან ინტერვიუს შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება არც დაგვრჩენია, აქაოდა, ეს კაცი ჯერ კიდევ ფიქრობსო.

ალენ ჟირესი: ჟირესი პროფესიონალია

პლატინი ჩემი მეგობარია, მაგრამ...

— ვიდრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წინადადებაზე თანხმობას იტყოდით, დიდხანს იფიქრეთ?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია და, შესაბამისად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე თანხმობა ჯერ არ მითქვამს.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ჯერ უნდა განვიხილო ქართველების წინადადება.

— საქართველოში ჩამოსვლას როდის აპირებთ?

— როცა შემოთავაზებას ბოლომდე განვიხილავ, მაშინ ჩამოვალ და კონტრაქტსაც გავაფორმებ.

— ეს როდის მოხდება?

— ვერ გეტყვით. ჯერ წინადადება უნდა ავწონ-დავწონო.

— საქართველოს ნაკრებს, საქართველოს იცნობთ?

— ვიცი საქართველო, ვიცი თქვენთან მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენების თაობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვიმედოვნებ, ჩამოსვლას მალე მოვახერხებ. საქართველოს ნაკრებზე კი ვერ ვიტყვი, ძალიან ბევრი ვიცი, თუმც ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა ნამდვილად მაქვს. კვირას „ლაციო“ — „მილანის“ მატჩი ვნახე, რომელშიც ქართველმა კალაძემაც ითამაშა.

— გარკვეული წარმოდგენა თუ გაქვთ, გვითხარით, რა ნაკლი და დადებითი მხარე აქვს საქართველოს ნაკრებს?

— საქართველოს ჰყავს ბევრი და ძლიერი ლეგიონერი, თუმც არ ჰყავს ძლიერი გუნდი.

— საქართველოში ადრე ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი მუშაობდა, რომელსაც, ზოგადად, მენტალური პრობლემები შეექმნა. თქვენ იცით ამის თაობაზე?

— რატომ მეკითხებით? როცა პროფესიონალი ხარ, მენტალიტეტზე, მით უფრო, მენტალურ პრობლემებზე, სალაპარაკო არაფერია. ჟირესი პროფესიონალია, პროფესიონალები არიან ფეხბურთელებიც და მენტალური პრობლემები სახსენებელი არ არის. ისე კი, ვიცი, რომ საქართველოში ადრე ბოსკამპი მუშაობდა.

— მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრისას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე არ გისაუბრიათ?

— კონკრეტული არაფერი გვითქვამს, ზოგად საკითხებს შევეხეთ.

— ახლახან კონგოს ნაკრებში გიწვევდნენ. რა მოხდა? რატომ არ გამოვიდა ეს საქმე?

— მიზეზი მარტივი იყო, კონგოში მუშაობა არ მსურდა და შემოთავაზებაზე უარი ვთქვი.

— თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მიშელ პლატინიმ დაგაკავშირათ. რა გითხრათ მან საქართველოს ნაკრებზე?

— პლატინი ჩემი მეგობარია, თუმც მას ჩემთვის ბევრი არაფერი უთქვამს. მერაბ ჟორდანიას პირადად შევხვდი და საქართველოს ნაკრებზე ჩვენ ვისაუბრეთ.

— და რა თქვით? არ გეშინიათ, რომ ჩვენთან თქვენი მუშაობა წარუმატებელი გამოდგეს?

— მე მსურს ამბიციური გუნდის მწვრთნელობა და პასუხისმგებლობისთვის მზად ვარ. ძალიან კარგია, რომ საქართველოში ფეხბურთი უზომოდ უყვართ და ნაკრებს უმაღლეს მიზნებს უსახავენ.

— ერთი ასეთი ფოტო გვაქვს — ღვინოებს ათვალიერებთ. გიყვართ ღვინო?

— ძალიან, რანაირი ფრანგი ვარ, თუ ღვინო არ მიყვარს?! „ბორდო“ კი გამორჩეულად მიყვარს.

— რამდენი შვილი გყავთ?

— ორი ვაჟი. ერთი „ტულუზაში“ თამაშობს.

— მამასავით თამაშობს?

— უხერხულია, საკუთარ თავზე ვილაპარაკო. ისე კი, მას არა უშავს, პერსპექტიული ფეხბურთელია.

— და ერთიც. საქართველოს ნაკრებში თქვენი თანაშემწეები ვინ იქნებიან?

— ჯერ კონტრაქტი უნდა გავაფორმო, სადაც ეს საკითხიც არის. ისე კი, მსურს, სამი თანაშემწე მყავდეს.

ძოგა ინასარიძე

ჟირესს გურული ფეხბურთის ენაზე სალაპარაკოდ მოჰყავს

საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელი ალენ ჟირესი თანაშემწეებზე საუბარს თავს კი არიდებს, მაგრამ, სადაც, ჟირესის მწვრთნელობაა გადაწყვეტილი, იქაც მისი ერთ-ერთი დამხმარის ამბავია გარკვეული — მწვრთნელის თანაშემწე გია გურული იქნება. წარსულში ჩინებული ფეხბურთელი, ვინც უკვე რა ხანია, საფრანგეთში ცხოვრობს. სხვათა შორის, ფრანგულ ლიგაში ქართველთაგან ერთადერთს სწორედ მას უთამაშია.

გია გურულს, როგორც თავად ამბობს, ჟირესთან მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია, თუმც მასთან კარგა ხნის ნაცნობობა აკავშირებს.

ჩვენიანს ფრანგი მწვრთნელის თანაშემწეობაზე სიტყვა პირველად ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ჩამოუგდო. გურული წინააღმდეგი არ ყოფილა, მოგვიანებით კი მის სამსახურს თავად მწვრთნელიც დათანხმდა, ორიოდ დღის წინ ჟირესმა გია სასაუბროდ მიიწვია

— ჟირესი ჩემი მეგობარიაო, ვერ ვიტყვი, თუმც დიდი ხანია, ვიცნობ და კარგი ურთიერთობა მაქვს — გვითხრა გურულმა გუშინ, როცა საფრანგეთში დავუკავშირდით — საკმაოდ გაწონასწორებული პიროვნებაა, უკონფლიქტო, შრომისმოყვარე.

— გავიგეთ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ჟირესს ნაკრებში თქვენ დაეხმარებით...

— ჩათვალეთ, რომ ასეა. ჯერ მერაბ ჟორდანიამ შემომთავაზა ჟირესის თანაშემწედ მუშაობა, მერე კი მწვრთნელსაც ვესაუბრე და მას ჩემი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

— მერედა, სამწვრთნელო საქმის პრაქტიკა გაქვთ?

— სულ ფეხბურთში არ ვარ?! ჟირესს სჭირდება თანაშემწე, რომელიც მის სიტყვებს ფეხბურთელებს ფეხბურთის ენაზე გადაუთარგმნის. ხომ იცით, ფეხბურთის ენა სხვაა... მეც, როგორც ფეხბურთელს, მოედანზე ჟირესის თარჯიმნობა არ უნდა გამიჭირდეს.

— თბილისში ერთად ჩამოხვალთ?

— კი, ასე ვაპირებთ.

— როდის მოდიხართ?

— ჯერ არ ვიცი, შესაძლოა, პარასკევს გამოვფრინდეთ. დღეს მერაბ ჟორდანიას ზარს ველით და თუ გვითხრა, პარასკევს ჩამოდიოო, წავალ და ბილეთებს ავიღებ.

— ჟირესის სამწვრთნელო საქმიანობაზე რას იტყვით?

— ძალიან ამბიციური და შრომისმოყვარეა. 2002 წელს ალენ ჟირესს ტყუილად არ ასახელებდნენ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა შორის. ჟაკ სანტინის გარდა, ნაკრების თავკაცობის თანაბარი შანსი კიდევ სამ მწვრთნელს ჰქონდა, მათ შორის ჟირესსაც. ბოლოს კი სანტინიმ ჟირესს სულ ორი თუ სამი ხმით აჯობა. ჟირესი ემე ჟაკეს ყველაზე ყოჩაღ მოსწავლედ ითვლება.

— როგორი ფეხბურთის მიმდევარია?

— როგორი ფეხბურთელიც იყო — შემტევი. მისი გუნდები ძირითადად 3-5-2 განლაგებით თამაშობდნენ, თუმც შემადგენლობიდან, ანუ შემსრულებლებიდან გამომდინარე, ამ სქემას ცვლიდა ხოლმე.

— კიდევ რას იტყვით ჟირესზე, როგორც მწვრთნელზე?

— პრინციპულია. ჩემთან საუბრისას რამდენჯერმე ხაზგასმით თქვა, გუნდი დისციპლინით იწყებაო. რა თქმა უნდა, დავეთანხმე. ჟირესი დამსახურებას არავის დაუკარგავს. ის კორექტული პიროვნებაა.

— საქართველოზე რა იცის?

— ევროპაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები იცის და ამ ბოლო დროს ხშირად უყურებს ხოლმე მატჩებს ქართველების მონაწილეობით. ჩვენს ქვეყანაზეც აქვს წარმოდგენა.

— თქვენს გარდა, ამბობენ, ჟირესს ორი ფრანგი თანაშემწე მოჰყავსო...

— ეს ზუსტად არ ვიცი, თუმც მითხრა, ფიზმომზადების სპეციალისტი გვჭირდებაო და ალბათ საფრანგეთიდან წამოიყვანს.

— თბილისში ჟირესი კონტრაქტის გასაფორმებლად მოდის?

— ალბათ ასე იქნება, ყოველ შემთხვევაში, შეთანხმებულები ვართ. თუ პარასკევს ჩამოვალთ, კონტრაქტიც მაშინვე გაფორმდება.

— რა ვადით?

— შესარჩევი ციკლის ბოლომდე. თუ ჟირესმა კარგი შედეგი აჩვენა, კონტრაქტი, ალბათ, გაგრძელდება.

ძოგა ინასარიძე

გია ახალაძის ფოტო

გია გურულის ძველი სიჩაუქე

27 თებერვალს კახა კალაძე იუბილარი იყო, საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველი 26 წლის გახდა. ორ დღეში კი „შავ-წითლებმა“ კიდევ ერთი პრინციპული მატჩი მოიგეს — ამჯერად რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „მასპინძლებს“ ერთ-ერთ ერთ-ერთ გვიანი გოლით „ლაციო“ დაამარცხეს და სკუდეტოს კენ ძალუმად გაიწიეს. კალაძემ სრულად, 90 წუთი ითამაშა.

ეს იყო და, „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ შეგირდები ორი დღით ვარჯიშისგან გაათავისუფლა, ოთხშაბათამდე დასვენება გეკუთვნითო.

გუშინ კახას მილანში დავუკავშირდით, დაბადების დღე დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივულოცეთ და აქეთურ-იქეთურზეც ველაპარაკეთ...

ბერლუსკონის შვილი შპარმგა ვინმეა

ღმერთმა ქნას ჩვენი მართლა ფეხბურთი



— გეტყობა, ფორმას ნელ-ნელა იბრუნებ. ეს „ლაციოსთან“ მატჩშიც ნათლად ჩანდა...

— მგონი, ასეა. ვერ ვიტყვი, რომ იდეალურად ვითამაშე, მაგრამ ცოტაც და საუკეთესო ფორმაში ჩავდგები.

— ეგ, ცხადია, კარგი ამბავია, მით უფრო, რომ შენი ძირითადი კონკურენტი პანკარო აქამდე მუდმივად თამაშობდა, ახლა კი აშკარაა, რომ ანჩელოტი შენ უფრო გენდობა.

— რა თქმა უნდა, ამდენი ხნის უთამაშებლობის მერე პირდაპირ ძირითადში მოხვედრა ადვილი არ არის. ვნახოთ, მე თავს არ დავზოგავ და ყველანაირად ვეცდები, ანჩელოტის ნდობა გავამართლო. მადლობა მას.

— „ლაციოსთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. მნიშვნელოვანი თამაში მოიგეთ, არადა, იყო აზრი, რომ შეიძლებოდა, „მილანი“ ამ მატჩამდე ფსიქოლოგიურად დათრგუნულიც ყოფილიყო, რომაელებთან ხომ ამას წინათ თასზე ორჯერვე საშინლად შერცხვით...

— ფაქტია, უძნელესი და მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ და ვფიქრობ, დამსახურებულადაც. თანაც, ჩვენი კონკურენტების, „რომასა“ და „იუვენტუსის“ შედეგებიც ვიცოდით და გვახარებს, რომ მათ ახლოსაც არ ვიკარებთ. განსაკუთრებით ჩვენი დაცვის თამაშს გამოვარჩევ, კოსტაკურტა-მალდინის დუეტი ცენტრში შეუდარებელი იყო. ძალიან კარგად ითამაშა კაფუმაც. მგონი, ურიგოდ არც მე გამოვიყურებოდი. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ წნეხს, ასე ვიტყვი: „მილანი“ დიდი გუნდია, დიდ გუნდებს კი კომპლექსები და მეტოქის შიში არ სჩვევიათ.

— ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურია დარჩენილი, სკუდეტო, ცხადია, ჯერ შორსაა...

— სკუდეტოზე ლაპარაკი ჯერ რა დროსია... ძალიან დიდი შეცდომა იქნება, თუ თავი უკვე ჩემპიონებად დავიგულეთ. ყურადღება და კონცენტრაცია წამითაც არ უნდა მოვადუნოთ.

— იმაზეც გვითხარი, სილვიო ბერლუსკონიმ ანჩელოტის კატეგორიულად რომ მოსთხოვა, ორი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეო, მწვრთნელმა რა პასუხი გასცა?

— ანჩელოტის პასუხი „მილანის“ შედეგებია და, მგონი, პრეზიდენტი უკმაყოფილო არ უნდა იყოს. თუმც ისიცაა, სილვიო ბერლუსკონი მარტო „მილანის“ პრეზიდენტი და იტალიის პრემიერ-მინისტრი როდია, „მილანი“, ფაქტობრივად, მისი შვილობილია და ფანატიკურად უყვარს გუნდი. ვფიქრობ, ნამდვილად არ ღირს ამ თემაში ჩაკირკიტება.

— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ: ეროვნულ გუნდს ფრანგი ალენ ჟირესი გაწვრთნის...

— ლაპარაკი რომ იყო ჟირესის დანიშვნაზე, ვიცოდი. ესე იგი, როგორც იქნა, დაგვადგა საშველი და მწვრთნელი უკვე გვყავს.

— შენი აზრი უინტერესო არ იქნება გულშემატკივრისთვის...

— პირდაპირ ვიტყვი: ვნახოთ, რა იქნება. ალენ ჟირესს, როგორც პიროვნებას, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ და არც მის სამწვრთნელო საქმიანობაზე გამიგია რამე. ვიცი, ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო თავის დროზე, მაგრამ ახლა რა დონის სპეციალისტია, უცნობია. ღმერთმა ქნას, ჩვენი არეულ-დაშლილი ნაკრები დაალაგოს და მართლა ფეხბურთი გვათამაშოს.

— ინტერვიუებში ფეხბურთის ფედერაციას რამდენჯერმე მიანიშნე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ჩეზარე მალდინის კანდიდატურა ურიგო არ იქნებოდაო...

— ვფიქრობ, ცუდი ვარიანტი ნამდვილად არ იყო, მე ჩემი ქვეყნის ნაკრებისთვის მხოლოდ საუკეთესო მწვრთნელი მსურდა. ბუნებრივია, ფედერაციამ როგორც ინება, ისე გადაწყვიტა. ახლა უკვე გვიანია ამაზე საუბარი, ჟირესი დანიშნულია და ვნახოთ...

გიორგი ვაშაკიძე

დავით ყიფიანის თასი

მეთექვსმეტეტაფიანი. საპასუხო მატჩები

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. ლოკომოტივი. სათადარიგო მოედანი. 200 (ტევადობა 1 000)

ჩიხურა 0:3 *ვიტ ჯორჯია* (0:1)

0:1 ადამია (76), 0:2, 0:3 გოცირიძე (88, 90)

ჩიხურა: მიქაცაძე (მეგრელიშვილი 85), კიპაროიძე, ო. ჭილაძე, გოგიტაძე, გ. ილურიძე, კ. გოგოლაძე, შუკაკიძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ჩხაიძე (მწყერაშვილი 81), ლომინაშვილი, სტეფანიშვილი (ი. ჭილაძე 81)
სათადარიგოები: ხახიშვილი, ა. ყაველაშვილი, ზ. გურული, ლაბუჩიძე
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კუპრეიშვილი, ლ. მერებაშვილი, იმედაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი (ინწკირველი 68), დიღმელაშვილი, დათუნაიშვილი (ებანოიძე 60), დეკანოსიძე, რ. გოცირიძე, მარცვალაძე (ადამია 68)
სათადარიგოები: ბედიაშვილი; ი. შენგელია, ლ. კვარაცხელია, ზვ. ლაბაძე
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

გაფრთხილება: ინწკირველი (88)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ხ. გაგნიძე (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ჩიხურა დარჩენამ ჩამოარჩინა

დავით ერაძე

ვეტერინარებმა პირობითად მასპინძელი „ჩიხურას“ წინააღმდეგობა შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გატეხეს. ეს, საპასუხო მატჩი თბილისის ნაცვლად საჩხერეში რომ გამართულიყო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. როგორც ჩანს, საჩხერელებს უმთავრეს მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაუსახავთ. აკი არც ძირითადში და არც განაცხადში არ ჰყოლიათ გუნდის გამოცდილ წევრთაგან ერთი — გუჯაბიძე.

„ჩიხურას“ საქმე ვიტელი გიორგი ადამიას პირველივე გოლით მოთავდა

გურამ დოლიძეანაშვილის ფოტო

რა გასაკვირია და, მთლიანობაში „ვიტ ჯორჯია“ სჯობდა მეტოქეს და სამართლიანადაც გაიმარჯვა. არადა, მეორე ტაიმის საწყისი 15 წუთი საჩხერელებმა აქტიურად დაიწყეს და ზედიზედ ჩაწოდებულ ორ კუთხურს გოგოლაძის სახიფათო დარტყმაც მიაყოლეს. საჩხერელთა ვეტერანები, გოგოლაძე და გოდერძიშვილი მერეც ბევრს ეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ მათ მომმარაგებელი არ ჰყავდათ — ჩხაიძე და გოგიტაძე სასურველ ფორმაში არ იყვნენ. აქა-იქ დამატებითი დროის დანიშვნის ალბათობაზეც ალაპარაკდნენ. ვეტერინართა საქმეს ისიც ართულებდა, რომ წინა შეხვედრის გმირს ოთარ მარცვალაძეს თამაში არ წაუვიდა. ტრავმის გამო შეცვლა ითხოვა გველესიანმა.

„ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ აღმოჩნდა ისეთი ფეხბურთელი, რომელმაც ლიდერობა იტვირთა. გიორგი ადამიამ ბურთის უნარიანი კონტროლის წყალობით თავისიანებს ჯერ ტერიტორიული უპირატესობა მოუპოვა, შემდეგ კი დიღმელაშვილთან კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მიქაცაძეს ბურთი თავზე გადაუგდო, რითაც სათუო და სათუმცაო აღარაფერი დატოვა. ძალაგამოლეული „ჩიხურა“ ორი გოლის გამტანი აღარ იყო.

თუმც 87-ე წუთზე გოგოლაძეს შეხვედრისთვის ინტრიგის შემატება შეეძლო. ის საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ძლიერი არ გამოუვიდა და მერლანის ნადავლი შეიქნა.

თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი გოცირიძემ დიღმელაშვილის პასი შეირგო და ახლო მანძილიდან გაიტანა. დამატებულ წუთებში იმავე გოცირიძემ ადამიას პასი ცარიელ კარში გატანილი თავურით დაასრულა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ერთი შეხედვით დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ეს გუნდი ჯერ ვერ ჰგავს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ყოჩაღად მოთამაშე ფავორიტთაგანს. თუმცა, აგერ, მეორე ეტაპიც და ყველაფერი გამოჩნდება.

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

ავაზა 0:5 *დილა* (0:1)

ქუთაისი. 2 მარტი. 14 საათი. დინამო

დინამო ქუთაისი 2:3 *კოლხეთი* (0:4)

ხაშური. 2 მარტი. 14 საათი. გრიგოლ ჯოჯართიძე

ივერია 1:2 *სიონი* (0:2)

სამტრედია. 2 მარტი. 14 საათი. ეროსი მანჯგალაძე

სამტრედია 0:2 *ქობულეთი* (0:5)

ქველი ანაგა. 2 მარტი. 14 საათი

მილანი 1:2 *თბილისი* (0:2)

მუხრანი. 2 მარტი. 14 საათი

პრემა 0:1 *სპარტაკი* (0:1)

ზუგდიდი. 2 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

დინამო ზუგდიდი 1:5 *დინამო ბათუმი* (0:3)

დიმიტრი ვერემჩუკის „წყალობით“ „ურიონის“ კარში ამგვარი საფეხბურთო დრამა ხუთჯერ გათამაშდა

გაფრი ჯეილანის ფოტოები

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. მაუდი. 150 მაყურებელი

ურიონი 0:5 *ამერი* (0:2)

0:1, 0:2 ვერემჩუკი (11, 23), 0:3 განუგრავა (61), 0:4 მჭედლიშვილი (66), 0:5 რუსია (81)

ურიონი: ი. გრძელიშვილი, ორაგველიძე, ზ. პატაშური, ლ. გრძელიშვილი, როსტიაშვილი, სმოიანი (ნოზაძე 63), ნიკოლაიშვილი, კაპანაძე (ჩაფიძე 68), ლაბაძე, ხურციძე, ბაბუაძე
სათადარიგოები: შარაშიძე; ციცხვაია
მწვრთნელი: ჯუმბერ აბაშიძე

ამერი: ნადირაშვილი, კედელაშვილი, დავითნიძე, ჩრეროა (ლაბაქიძე 62), გარუჩავა (განუგრავა 46), ვერემჩუკი, შონია, ხუბუა, სილაგავა (მჭედლიშვილი 46), კუსრაშვილი, რუსია
სათადარიგოები: თევდორაძე; წინამძღვრიშვილი, ბერიანიძე, ფირანიშვილი
მწვრთნელი: თამაზ კოსტავა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. წიკლაური, ვ. გუმბერიძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ამერის ნატკეპნი მაუდი

ვერემჩუკის მალები და გოლები

დავით თავართქილაძე

„ამერმა“ გუშინ მოახერხა ის, რაც არ გამოუვიდა „ურიონთან“ პირველ მატჩში — მეტოქეს ბლომად გაუტანა.

თამაზ კოსტავას ფეხბურთელები რეგიონალლიგელ ურიონელებზე უკეთ არიან მომზადებულნი, გამოცდილებაც „ამერის“ მხარეს იყო და სხვაობას ანგარიშიც კარგად ასახავს.

მაგრამ რისი მომტანია „ურიონის“ დარ გუნდთან თამაში „ამერისთვის“? ახალ სიბრძნეს არ გამოვიგონებთ და ვიტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში მძლე გუნდი 90 წუთს ხარვეზების აღმოსაფხვრელად და თამაშში რაც შეიძლება მეტი რეჟისურის შესატანად უნდა იყენებდეს. „ამერიც“ მთელი საათნახევარი მონდომებული იყო, მაგრამ „ურიონმა“ სიუჟეტი ვერ გაამძაფრა — გამომცდელი მატჩები ამერელებს აწი ელით.

„ამერის“ ხერხემალი-ფეხბურთელი გუშინ დიმიტრი ვერემჩუკი გახლდათ — დუბლი და სამი საგოლე პასი — ვერემჩუკს ეს შემთხვევით როდი მოუნგრია. აღნიშვნის ღირსია გელა ხუბუას აგრესიული თამაშიც, საინტერესო ყმაწვილი ჩანს დავით მჭედლიშვილი.

„ამერის“ პირველი სახიფათო იერიში იმით დამთავრდა, რომ ხუბუას ძლიერად დარტყმული ირაკლი გრძელიშვილმა მოიგერია, ხოლო პირველი გოლი ასე გავიდა — „ურიონის“ დაცვამ ფლანგიდან ჩაწოდებული მაღალი ბურთი საჯარიმო მოედნიდან ვერ გამოტანა და ვერემჩუმა ახლოდან დააგერა აუღებელი.

თერმეტი წუთის შემდეგ „ურიონმა“ საჯარიმოდან კი მოიგერია ბურთი, მაგრამ დაახლოებით 30 მეტრიდან ვერემჩუკმა ჰაერში აზიდულ ბურთს ისე შეაგება ფეხი, რომ „ურიონმა“ მეორე გაუშვა — ლამაზი გოლი გამოვიდა.

შესვენებაზე განხორციელებულმა შეცვლებმა „ამერი“ მეტად აამოძრავა. თუმც „ურიონი“ არ გატყდა, რაც შეეძლო, იბრძოდა. შეხვედრა მინდორზე კი არა, ნამინდვრალზე, ნატკეპნ მიწაზე მიმდინარეობდა, თუმცა ამას „ამერისთვის“ ხელი არ შეუშლია, უპირატესობა დაემტკიცებინა.

ვერემჩუკის ჩაწოდებულ ჯარიმაზე გიორგი განუგრავა კარგად აიწია და თავურიც უნაკლო გამოუვიდა — 0:3. ამის მერე ვერემჩუკმა კარგად გაუჭრა პასი მარჯვენა ფლანგზე მჭედლიშვილს, ვინაც ოდნავ მახვილი კუთხიდან ზუსტად, თუმცა არცთუ ძლიერად დაარტყა — ბურთს დადევნებული „ურიონის“ მცველის გარჯა ამაო გამოდგა.

მეხუთე გოლამდე ისიც ვთქვათ, რომ ფარნაოზ კუსრაშვილმა მოხდენილად გაისროლა ოციოდე მეტრიდან, მაგრამ გრძელიშვილმა გამოიდო თავი და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ბოლოს კი „ამერის“ ფეხმალმა ბომბარდირმაც იხეირა — ვერემჩუკისგან მიღებული ბურთი მამუკა რუსიამ ისე სადად შეაგდო, ვარჯიშებზე რომ გამოსდით ხოლმე.

გაფრი კეთილაძის ფოტო

წინა ზაფხულს გერმანიაში შეკრებაზე ყოფნისას „ამერის“ ფეხბურთელებს ნახევარი დღე მაღაზიებში წასასვლელად მისცეს. ვინ რა იყიდა, ვინ რა, მამუკა რუსია კი სასტუმროში ქოთანში ჩარგული პალმით დაბრუნდა: რა ვქნა, ეზო და ბაღი გულრიფშში დავტოვე და თბილისში ქოთნებში მაინც მექნება მცენარეებიო.

წინა ოთხშაბათს მამუკა რუსიას პირველი ვაჟი შეეძინა, ორი დღის მერე კი საქართველოს თასზე გოლიც გაიტანა.

თავდაპირველად, ცხადია, შვილის შეძენა მივულოცეთ, მერე კი ეს ინტერვიუ ჩამოვართვით

ქვეყანაზე სწრაფი და ქვეყანაზე სევდიანი

გოლები წასული ბიჭებისთვის

— „ამერში“ ბომბარდირი კი ხარ, მაგრამ ყოველ მატჩში ერთ უნაღდეს მომენტს მაინც აფუჭებ-ხოლმე...

— რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, მას მერე ეგ პრობლემა მაქვს, უამრავ მომენტს ვერ ვიყენებ. საქმე ის არის, რომ მეკარესთან პირისპირ დარჩენისას ცივსისხლიანი უნდა იყო, რომ გაუტანო. სწორედ ცივსისხლიანობა მაკლია.

— მაგრამ „ამერში“ მაინც საუკეთესო ბომბარდირი ხარ...

— აბა, საერთოდ რომ ვერ გამქონდეს გოლები, როგორი თავდამსხმელი ვიქნებოდი.

— ამბობენ, რუსია ყველაზე სწრაფი თავდამსხმელია საქართველოში...

— ვერ დავიჟინებ, თუმცა მგონი, ეგრეა.

— ახლა ლექსო კაიდარაშვილი რომ შეგემატათ, ალბათ „ამერი“ მეტ გოლს გაიტანს, მაგრამ ამავე დროს კონკურენტი გამოგიჩნდა...

— უფრო მეტს რომ გავიტანთ, ეჭვი არ მეპარება. ლექსო ცენტრფორვარდია და ჩემზე მეტი უნდა გაიტანოს კიდეც. ძალიან გამიხარდა, ჩვენთან რომ გადმოვიდა.

— კაიდარაშვილმა თქვა, „ამერში“ იმიტომ გადავედი, ფეხბურთელებს საუკეთესო პირობები აქვთო...

— კი, ეგრეა, როცა დიდი მიზნები გაქვს, ცხადია, პირობებიც უნდა არსებობდეს. მაგრამ ერთსაც დავამ[illegible] [illegible]ემძღვანელობის მხრიდან [illegible] [illegible]ითბოს ვგრძნობ და ამის გა[illegible]ორმაგად მონდომებული ვარ.

— ისე, „ამერის“ ბევრ თავდამსხმელზე მეტი გოლი გიორგი დავითნიძეს აქვს გატანილი...

— ჯორჯო მცველი კია, მაგრამ იმხელაა, მეტოქის საჯარიმოში ბურთს თავი ვერ დაარტყას, სირცხვილი იქნება.

— ალბათ უმაღლეს ლიგაში გადასვლასაც შეძლებთ...

— დიდი იმედი მაქვს. დღეს „ამერი“ გაცილებით ძლიერია, ვიდრე სეზონის დაწყებისას იყო. ფეხბურთელებს შეთამაშება გვჭირდებოდა, რაც ამ თვეებში მოვახერხეთ.

— მაგრამ ანთალიაში შეკრებაზე ყოფნისას სამი თამაში წააგეთ, თან არცთუ ძლიერ გუნდებთან...

— გაჩნია, სუსტ გუნდში რას გულისხმობ. ის, რომ მეტოქეები განთქმული გუნდები არ იყვნენ, არ ნიშნავს, რომ იოლად უნდა დაგვემარცხებინა. საერთოდ, ვფიქრობ, საკონტროლო მატჩებში რაც უფრო ძლიერ გუნდებს შეხვდები, უკეთესია. შენი სუსტი მხარეები კარგად გამოჩნდება და გამოსწორების საშუალებაც გაქვს.

— ერთი სიტყვით, მეორე წრისთვის კარგად მოემზადეთ...

— მთავარია გვჯეროდეს, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. შენ თუ არ გჯერა, რომ მოგება შეგიძლია, სხვა როგორ დაიჯერებს. პირველ წრეში ოთხი თამაში წავაგეთ, სამიც ანთალიაში. მაგრამ თეორიულ მეცადინეობებზე თამაშებს რომ ვარჩევთ, ვხვდებით, რომ ერთიც არ იყო წასაგები და ვბრაზდებით, როგორ ვერ მოვიგეთ-თქო. კარგია, რომ ვბრაზდებით, სპორტსმენი წაგებას ვერ უნდა ეგუებოდეს.

— პარასკევს გოლი გაიტანე, გუშინაც. ალბათ, შვილს მიუძღვენი...

— ჩემს გოლებს მუდამ აფხაზეთში დაღუპულ ჩემს მეგობრებს ვუძღვნი-ხოლმე. ჩემი კუთხე ძალიან მენატრება და ბოლო დროს იმედი გამიჩნდა, რომ მალე დავიბრუნებთ.

— ერთი სტანდარტული კითხვაც: გინდა, რომ შენი შვილიც ფეხბურთელი გახდეს?

— რატომაც არა, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელობა სისხლში ექნება გამჯდარი.

— კი მაგრამ, შენს მეუღლეს შენი ფეხბურთელობა არ ეყოფა?

— ჩემი ცოლის დამსახურებაა, ფეხბურთს რომ ვთამაშობ. ორი წლის წინ მძიმე ტრავმა მივიღე, ძალიან დიდხანს ვმკურნალობდი და ფეხბურთისთვის თავის დანებება მინდოდა. ნატო ფეხზე დადგომაში დამეხმარა და სულ მამხნევებდა, ისევ ითამაშებო. მისი მხარდაჭერა რომ არა, ახალ პროფესიაზე მომიწევდა ფიქრი.

კოტე კეკელია

დინამომ ჩელებაძეს არ გაატანინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოგრაფ ფოტოს

ახლანდელი თბილისის „დინამოს“ ორ წამყვან ფეხბურთელზე, დავით კვირკველიასა და სანდრო იაშვილზე დაუფარავად „ნადირობს“ უკრაინული ფეხბურთის ორი ლიდერი, დონეცკის „სტარი“ და კიევის „დინომო“. უკვე ვწერდით და გეხსომებათ, რომ კიევის „დინამოსთან“ საკმაოდ საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს რევაზ ჩელებაძეს. ამასწინანდელ ინტერვიუში ბატონმა რეზომ გვითხრა, რომ კვიპროსზე ნაკრების თამაშისას კიეველებიც გააგ ზავნიდნენ აგენტებს იაშვილისა და კვირკველიას საქმეში სანახავად და დონეცკელებიც. ჩელებაძე უკრაინიდან ახალი დაბრუნებულია და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, რა პერსპექტივა აქვთ ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერს

სანდრო იაშვილი

დავით კვირკველია

— კვირკველიასა და იაშვილისადმი დიანტერესებას ორი უკრაინელი კლუბი იჩენს. მათ ინტერესი ხომ არ განელებიათ?

— არა, პირიქით, ორივე ფეხბურთელის ტრანსფერის განხორციელება ახლავეა შესაძლებელი, თუმცა გარკვეული ხელისშემშლელი გარემოებებიც გამოჩნდა.

— რას გულისხმობთ?

— არც კვირკველიას და არც იაშვილის გაშვება „დინამომ“ ამჟამად არ ისურვა. ეს მათი პრინციპული პოზიციაა და ვერაფერს იზამ. არადა, იაშვილზე კიეველებმა მითხრეს, რომ როგორც კი ჩავიყვანდი, კონტრაქტს დაუყოვნებლივ გაუფორმებდნენ.

— თქვენი ჩარევით კიდევ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერს ხომ არ უნდა ველოდოთ?

— ამ ეტაპზე არა, თუმცა გაზაფხულიდან, ანაც ჩვენი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მართლაც შეიძლება საინტერესო ტრანსფერები განხორციელდეს. ყოველ შემთხვევაში, უკრაინელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ ქართველი ფეხბურთელების პოტენციალში.

დავით ერაძე

მესამე კანდიდატიც:

ნოდარ ახალკაცი გენმდივნად

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გენერალური მდივნის პოსტი ვაკანტურია და, ბუნებრივია, საქმეში ჩახედულნიც და ჩაუხედავნიც კანდიდატურებზე ალაპარაკდნენ

გაფრი კეთილაძის ფოტო

ნოდარ ახალკაცი

პირველად გერა ხეცურიანის გვარ-სახელმა გაიელვერა, ვინც ფედერაციის ფინანსური დირექტორია, თუმც მალევე გამოჩნდა მეორე კანდიდატიც — ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი რომან შოთაძე — ასეთია კულუარული ცნობები, რომლებიც სწორედ ფედერაციიდან მოდის.

ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს, მაგრამ გენმდივნის დანიშვნა თუ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნასავით გაიწელა, ეს ხელს არავის მისცემს.

და გენმდივნობის მესამე, ერთობ საყურადღებო კანდიდატიც — ნოდარ ახალკაცი უმცროსი.

თუ ახალკაცის კანდიდატურა გაიმარჯვებს, ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატების გამომჭედი კაცის ვაჟი გენმდივნობას მყისვე ვერ შეუდგება — 28 წლის ნოდარ ახალკაცი ახლა გერმანიაშია და საქართველოში სამუშაოდ ჩამოსვლა ჯერ არ შეუძლია.

ახალკაცი განათლებით იურისტი გახლავთ, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის შესაბამისი დიპლომიც აქვს და ახლა საადვოკატურო პრაქტიკას გადის, რათა ვექილად მუშაობის უფლება მიიღოს.

დავით თავართქილაძე

ანდრო კიურჯიევი ქართული ფეხბურთისთვის შინაური გვარ-სახელია. თბილისში დაბადებულ-გაზრდილ კაცს ეს ქვეყანა გაჭირვებამ დაატოვებინა.

ცამეტი წლის წინ საბერძნეთში გადახვეწილმა კიურჯიევმა ახალ გარემოს ალღო აუღო, მალე საბერძნეთის მოქალაქეობაც მიიღო და **ანდრეას ნინიადისად** *„მოინათლა".*

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თუმც ნინიადის-კიურჯიევის და ქართული ფეხბურთის გზები მხოლოდ ერთხელ გადაიკვეთა — ხუთი წლის წინ ის, როგორც საბერძნეთის ნაკრების წევრი, თბილისს ესტუმრა და მშობლიურ „ეროვნულზე" რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ბურთი გააგორა.

ახლა ეს გზები ისევ მიიწევენ ერთმანეთისკენ: საქართველო და საბერძნეთი მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში მეტოქეობენ.

ანდრეას ნინიადისთან საუბარი, ცხადია, საინტერესოა ქართველი გულშემატკივრისთვის და მას პირეოსში შევეხმიანეთ...

ორი წლის წინ საბერძნეთიც საქართველო იყო

ელადამ რეჰაგელით იმკურნალა

— ანდრო, როგორ არის თქვენი საქმეები, რომლებიც ბოლოხანს არცთუ ისე კარგად მიგდით „ოლიმპიაკოსში"...

— მართალია, ძველებურად ხშირად ვერ ვთამაშობ, მაგრამ უკან დახევა არც მიფიქრია. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა დროებითია, მალე ავთამაშდები. თქვენ, რა თქმა უნდა, მარტო ამ საკითხზე სასაუბროდ არ დამირეკავდით, ალბათ, საბერძნეთ-საქართველოს მომავალი მეტოქეობა გაინტერესებთ.

— **ეგრეა და, რას ამბობენ საბერძნეთში ჩვენს ჯგუფზე?**

— აქ მთელი ყურადღება ევროპის ჩემპიონატზეა გადატანილი. საბერძნეთს ხომ რა ხანია, ასეთი მაღალი დონის ტურნირში არ უთამაშია და ახლა სხვა რამეებზე არც ფიქრობენ. გაზეთები, ტელევიზია... ყველგან ევროპის ჩემპიონატი აკერიათ პირზე და ვფიქრობ, მართალიცაა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევზე კი, ალბათ, ზაფხულის მერე ალაპარაკდებიან. მანამდე კი, პორტუგალიაში წარმატებული თამაშისთვის გამალებული მზადებაა.

— **ესე იგი, თქვენი ყურადღებაც პორტუგალიისკენაა...**

— როგორც ყველა გულშემატკივრის თუ ფეხბურთში დასაქმებული ადამიანის.

— **რატომ? საბერძნეთის ნაკრებში თამაშის იმედი არ გაქვთ?**

— ყველაფერი ისე არაა, როგორც მე მინდა. კანდიდატად კი ვითვლები, მაგრამ არა მგონია, ოტო რეჰაგელმა პორტუგალიაში წამიყვანოს. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია და გულიც ისე ძალიან არ მწყდება...

— **მწვრთნელთან პრობლემები გაქვთ?**

— ნაკრებში არა, „ოლიმპიაკოსში"... ძველებურად ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი აღარ ვარ და ცხადია, ნაკრებში ასეთ ფეხბურთელს არავინ მიიწვევს. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატი უჩემოდ ჩაივლის, არადა, რა კარგი შანსი მქონდა... ასეთ ტურნირში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა.

— **და ალბათ საქართველოს წინააღმდეგაც ვერ ითამაშებთ?**

— ასე გადაჭრით ამას ნუ ვიტყვით. ნაკრებზე უარი ჯერაც არ მითქვამს. იმედი მაქვს, მანამდე ყველაფერს მოევლება და მე ისევ ჩამოვალ.

— **როგორც ხუთი წლის წინ...**

— ის მატჩი არასოდეს დამავიწყდება. უკუღმართი ცხოვრების გამო თბილისში ჩემი ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშე. მაგრამ ეს ხომ სპორტია, აბა, სხვაგვარად საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს დავდგები.

— **რას გრძნობდით მაშინ?**

— ერთი მხრივ, ძალიან მიხაროდა — მე ხომ თბილისში ვიყავი და ეროვნულ სტადიონზე ქართველი ხალხის თვალწინ ვთამაშობდი. მეორე მხრივ, თავს უცნაურად ვგრძნობდი. ვერ წარმომედგინა, თუ ეს როდესღაც მოხდებოდა. ხალხმა რომ ტაში დამიკრა, მთლად დავიბენი. ძალიან მინდა, მომავალ შესარჩევშიც ასე მოხდეს. თუ ბედმა გამიღიმა და საბერძნეთის ნაკრებში მიმიწვიეს, ბედნიერი ვიქნები. თბილისში ჩამოვალ, მეგობრებს ვნახავ და... თან ჯგუფიდან საბერძნეთი და საქართველო გავლენ.

— **სურვილი მშვენიერია, მაგრამ...**

— ვიცი, ვიცი... საქართველოს ნაკრებს დღეს ძალიან უჭირს. ყველაფერში ვერკვევი. ნაკრების მწვრთნელად ფრანგ ანრი მიშელს რომ ნიშნავდით, გავიგე. მერე რატომღაც ანატოლი ბიშოვეცზე დაიწყო ლაპარაკი... ახლა რა ხდება? ვინ დაინიშნა?

— ჟირესთან კონტრაქტი მალე გაფორმდება.

— ჟირესს? ეს ნაღდად არ ვიცოდი. დღეს საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტად სჭირდება გამოცდილი და პროფესიონალი მწვრთნელი. მერე ყველაფერი აეწყობა. საბერძნეთშიც ასე იყო ორი წლის წინ, მაგრამ ახლა ნახეთ, რა ხდება...

— **რა იყო მანამდე?**

— უყურადღებობა, დილეტანტიზმი... დაახლოებით ის, რაც ახლა საქართველოშია. მაგრამ უკვე ყველაფერი პირიქითაა. საქართველოც ხომ ძალიან ჰგავს საბერძნეთს. ამიტომ მაქვს იმედი, რომ რეჰაგელისნაირი კაცი თქვენც გიშველით. იმედი კი არა, ეს საქართველოს წამალია. ნაკრებს ახლა ევროპელი პროფესიონალი მწვრთნელი სჭირდება და მერე ფეხბურთს სხვა თვალით შეხედავთ.

— **მაინც რით ჰგავს საქართველო საბერძნეთს?**

— ყველაფრით. ხალხით, კულტურით, ფეხბურთითაც... საქართველო სავსეა ნიჭიერებით, ისევე როგორც საბერძნეთი. ამ ნიჭს გამოყენება უნდა. ჩვენთან ეს რეჰაგელმა შეძლო. შეიძლება ითქვას, რეჰაგელმა ბერძნულ ფეხბურთს სულზე მიუსწრო. ახლა კი შედეგებს ვიმკით — ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. საქართველოც ასე უნდა მოიქცეს. კარგი მწვრთნელი აუცილებლად შეძლებს ძლიერი გუნდის გაკეთებას. ქართველების ამბავს ნურავინ მასწავლის. როგორ შეიძლება, ქართველებისნაირი ფეხბურთელები გყავდეს და შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილზე გახვიდე?!

— **გეტყობათ, ქართული ფეხბურთის საქმეებში კარგად ხართ გარკვეული...**

— არამარტო ფეხბურთში. პოლიტიკასაც ხშირად ვადევნებ თვალს. საქართველოს დავიწყება არასოდეს მიფიქრია. ეს ხომ ჩემი სამშობლოა. ვარდების რევოლუციაც ბრწყინვალე იყო. ქართველი თუ მოინდომებს, ბევრს მიაღწევს. მაგრამ საქმეც ეგაა, რომ მონდომება გიჭირთ. ოქროსავით დროს ფლანგავთ.

— **საქართველოსთან კავშირი დღემდე გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. მანდ ბევრი მეგობარი მყავს. ხშირად ვუკავშირდებით ერთმანეთს. ჩემი ბავშვობის მწვრთნელი რევაზ გაგუაც არ მავიწყდება. მისი დამსახურებაა, ფეხბურთელი რომ ვარ.

— **ფეხბურთელებიდან ვისთან გაქვთ ურთიერთობა?**

— ბევრთან, განსაკუთრებით გიორგი ნემსაძესთან. ერთად გაზრდილები ვართ. შოტლანდიაში რომ თამაშობდა, მაშინაც ხშირად ვურეკავდით ერთმანეთს. ნუ გიკვირთ, რომ თითქმის ყველაფერი ვიცი ქართულ ფეხბურთზე. მე საქართველოს შვილი ვარ. არაფრის დავიწყებას არ ვაპირებ. საქართველოს ყველგან ვქომაგობ. ყოველთვის მიხარია თქვენი წარმატება, მაგრამ ამავე დროს საბერძნეთის მოქალაქე ვარ. აქ ხომ ჩემი თავი ვიპოვე. შემიძლია, ნებისმიერს დავუმტკიცო საქართველოს სიყვარული და ამით უბედნიერესი კაცი ვარ. ღმერთმა მომასწროს საქართველოს და ქართული ფეხბურთის წარმატებებს. ეს ჩემი ოცნებაა...

კახა შალამბერიძე

შტურმი დაიძრა: წინ თუ უკან?

ავსტრიაში ნაპოვნი მუჯირი საქართველოში დაიკარგა

განახლებულ ავსტრიულ მაქსბუნდესლიგაში, საიდანაც ერთი გუნდი ვარდება, **დავით მუჯირის** *„შტურმი" ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა. შტურმელებმა ორი უგოლო ფრე ითამაშეს და კვლავაც ნანატრი გამარჯვების მოლოდინში არიან. თუმც მუჯირისთვის სეზონი მაინც წარმატებულად განახლდა — ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნა. ჩვენებურსაც გრაცში ამად შევეხმიანეთ...*

— **როგორ მოიპოვე მწვრთნელის ნდობა? პირველ ეტაპზე ხომ სულ სათადარიგო იყავი...**

— ბოლო ტურებში შეიცვალა ვითარება. შეცვლებზე რამდენჯერმე მათამაშა და ეტყობა, მოვეწონე. თან მოსამზადებელ ეტაპზეც გამოვიჩინე თავი — ორი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ვფიქრობ, მწვრთნელებს სხვა გზა არც ჰქონდათ, ძირითადში ადგილი უკვე აშკარად მეკუთვნოდა.

— **„შტურმში" ამპლუას თითქმის ყველა მწვრთნელი გიცვლიდა...**

— ახლა თავდამსხმელების უკან ვთამაშობ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— **მოგება რატომ გიჭირთ?**

— რაც აქ ვარ, „შტურმი" სულ შემტევი ფეხბურთით გამოირჩეოდა. ავსტრიაში ამ მხრივ საუკეთესოებიც კი ვიყავით, მაგრამ პირველ ეტაპზე ამ ტაქტიკამ არ გაამართლა. შემტევ ფეხბურთს კი ვთამაშობდით, მაგრამ ამ დროს საკმაოდ ბევრ გოლს ვუშვებდით. მწვრთნელმაც ახლა დაცვაში თამაშზე გაამახვილა ყურადღება და შედეგიც ასეთია — ორი ტურია, გოლი არ გაგვიშვია.

— **მაგრამ ვერც გაგაქვთ...**

— ეს დამატებითი თავსატკივარია. ერთი საქმე მოვაგვარეთ და მეორე აგვერია. იმედია, მალე ამასაც მივხედავთ. თუმცა ამ ორ ტურში ისედაც ძალიან ცოტა გოლები გადის. მთელ ავსტრიაში მაგარი ყინვებია და თამაში ჭირს.

— **ერთი სიტყვით, მაქსბუნდესლიგაში დარჩენა პრობლემური მაინც არ ჩანს და ალბათ მთავარ აქცენტს თასზე გადაიტანთ...**

— მთლად ეგრეც არაა. თასზე წარმატებული თამაში კი გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ ლიგაც არ უნდა დავივიწყოთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ნაადრევად არ უნდა დავმშვიდდე.

— **ნაკრებზეც გკითხავ. კვიპროსის ტურნირის მონაწილე ექსპერიმენტულ გუნდშიც კი არ ყოფილხარ...**

— არ ვიცი, ეს რატომ ხდება. ნაკრებში ყველას იწვევენ ჩემს გარდა. არადა, შანსი არასოდეს მომცემია. გადახალისებულ გუნდში მაინც რატომ არ მიწვევენ? იმედია, ამ მხრივაც შეიცვლება ვითარება და ხალხს გავახსენდები. ჩემი იგნორირების ზუსტი მიზეზი კი ნაღდად არ ვიცი.

კახა შალამბერიძე

ბებრის ყვავილობა ეს ის ტოლდო აღარ არის

ამგვარად, იტალიაში 23-ე ტურიც ჩატარდა, ლიდერთა სამეულში კი არაფერი შეცვლილა. „მილანი“ „რომას“ ძველებურად 5 ქულით უსწრებს, ხოლო „იუვენტუსს“ ექვსით. სამაგიეროდ, შეიცვალა იმ გმირთა და ანტიგმირთა ვინაობა, რომლებიც იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის ბლოკნოტში მოხვდნენ

კლაუდიო ლოპესი და პაოლო მალდინი

ფრანჩესკო ტოლდო

კლარენს ზეედორფი (მილანი): ასეთი სტაბილურობით არასდროს გამოირჩეოდა, მაშინაც კი, მადრიდის „რეალის“ წევრი რომ იყო. ყველაფერი, რასაც ის მოედანზე აკეთებს, წარმატებული და გამართლებული ჩანს. ზეედორფმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ „მილანისთვის“ ნამდვილად საჭირო ფეხბურთელია. „შავ-წითელი“ გუნდის ქომაგებისთვის, ის დრო, როდესაც ჰოლანდიელი „ინტერში“ თამაშობდა, წარსულს ჩაბარდა.

ფრანჩესკო ანტონიოლი (სამჭორაო): ერთი კვირის წინ, „პარმასთან“ ანტონიოლიმ სერიოზული შეცდომები დაუშვა, მაგრამ ახლა, 23-ე ტურში, „კიევოს“ წინააღმდეგ დაამტკიცა, რომ იმ შეცდომებმა მასზე დადებითად იმოქმედა. ანტონიოლი არასდროს ყოფილა ის მეკარე, რომელიც მაყურებელს თვალისმომჭრელი თამაშით აოცებდა, მაგრამ ამჯერად რაც დაურტყეს, მართლა ყველაფერი მოიგერია.

პაოლო მალდინი (მილანი): ჟინი, რომლითაც ამ ხნის კაცი მოდანზე დაჰქრის, გამაოგნებელია. ისე თამაშობს, გეგონებათ 25 წლის იყოს. „ლაციოსთან“ კვირას მან დიდებულად ითამაშა. მოდი, ნუ შეგვეშინდება პირდაპირ თქმის, მისი და იტალიის ნაკრების ბოლო კაპიტნის, ფაბიო კანავაროს (ინტერტობაზე ზორის გასროლაა — ცა და დედამიწაა.

ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი): ბოლოხანს იმდენად უიმედო გახდა, რომ ამ ამბავზე ყველა გაზეთმა დაწერა. ერთი სიტყვით, ბურთს ხელს დაადებს თუ არა, რა მოხდება არ იცი და ამიტომ ქომაგებს მეტოქის ყოველი შეტევისას გული უსკდებათ.

კლაუდიო ლოპესი (ლაციო): „მილანთან“ შეხვედრაში კარის მიმართულებით დარტყმა ერთხელაც ვერ მოახერხა. რატომღაც მეტოქის კარისგან ძალიან შორსაც თამაშობდა და რაც შეუძლია, იმ თვისებიდან საერთოდ ვერაფერი გამოამჟღავნა. ნამდვილ ლოპესს კი მოწინააღმდეგე რამენაირად მაინც უნდა დაეზარალებინა.

ჯოვანი პასკუალე (ინტერი): „ინტერის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ამ ახალგაზრდას არ ენდობა და ეს, როგორც ჩანს, მასზე მოქმედებს. მისი ყოველი გადაადგილება ყოყმანითაა სავსე და შეტევაზე გადასვლას შიშობს.

პაპუნა კედია

ავადაა, ავადა... პრემიერი ბერლუსკონი დიაგნოზს არ ეთანხმება

იტალიური ფეხბურთი ავადაა — განაცხადა იტალიის ვიცე-პრემიერმა ჯანფრანკო ფინიმ — ამის შესახებ ყველამ იცის და ამას თავისი მიზეზები აქვს

ასეთი გახლავთ ციტატა რადიო RAI-ს ეთერიდან. რით არის ეს ციტატა საინტერესო? იმით, რომ ქვეყნის ვიცე-პრემიერი ქვეყნის პრემიერის საწინააღმდეგო აზრს ნერგავს. შეგახსენებთ, იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ გამომძიებელთა 51 კლუბის ოფისში შესვლას ამასწინათ პოლიციური რეჟიმისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა, ფინიმ კი პირიქით, აქცია მოიწონა.

„სულაც არ ვფიქრობ, რომ იტალიური ფეხბურთის შემოწმება ცუდი ნაბიჯია. ეს ძალიან კარგია, ყოველ შემთხვევაში იმ ხალხისთვის, ვისაც დასამალი არაფერი აქვს. მე თუ მკითხავთ, ვისაც დასამალი არაფერი აქვს, არც შეწუხდება ფინანსური პოლიცია საბუთებში ჩახედვას თუ სთხოვს“ — განაცხადა ვიცე-პრემიერმა, რომელიც ეროვნული ალიანსის პარტიის ლიდერია, მაშინ როდესაც პრემიერი ბერლუსკონი მემარჯვენე-ცენტრისტულ „ფორცა იტალიას“ უდგას სათავეში.

გამოძიებამ კი ქექა-ქექა და გამოქექა, რომ 2000 წელს, როდესაც ქვეყნის ჩემპიონი „ლაციო“ გახდა, ამ რომაულმა კლუბმა ფეხბურთელებს პრემიები საკვებ-პროდუქტების ფირმა „ჩირიოსგან“ მალულად მიღებული თანხიდან მისცა. შეგახსენებთ, რომ „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი აწ გაკოტრებული „ჩირიოს“ მფლობელი გახლდათ.

დღეს კრანიოტი ციხეშია, ხოლო „ლაციოს“ ფინანსური პრობლემები უდგას. და სწორედ ამიტომ განაცხადა მისმა ამჟამინდელმა პრეზიდენტმა უგო ლონგომ ერთ-ერთ სააგენტოსთან საუბარში, რომ მზად არის მოლაპარაკებები წამოიწყოს რუსულ კომპანია „ნაფტა-მოსკვასთან“, რომელმაც კვირას „რომასთან“ შეთანხმებული კონტრაქტის ხელმოწერა ჩაშალა.

შეგახსენებთ, რუსებს, რომლებსაც „რომაში“ პირველ ჯერზე 400 მილიონი ევრო უნდა მიეტანათ, სწორედ იტალიის ფინანსური პოლიციის ზემოხსენებული აქციისა შეეშინდათ. „ნაფტამ“ „რომასგან“ ვერ მიიღო გარანტია, რომ მის მიტანილ დიდძალ ფულს საფრთხე არ დაემუქრებოდა.

პაპუნა კედია

კლაუდიო რანიერის ზედგამოჭრილი ჩააბარეს

ჰოლანდიელი არიენ რობენის გადაბირება შარშან რამდენიმე კლუბს სურდა. მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ გამორჩეულად აქტიურობდნენ. პსვ-ს 20 წლის ფეხბურთელი მარცხენაფლანგელია და ფორვარდობაც შეუძლია. იგი სერ ალექს ფერგიუსონს ძალიან მოსწონებია და მანჩეს[illegible]ც კი ჩაუყვანია. შოტლანდიე[illegible]ითნელმა რობენი რაიან გიგზის შე[illegible]ლად დაიგულა და მის სანაცვლოდ ჰოლანდიელებს 7 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ პსვ-მ თანხა იცოტავა.

იმავდროულად ფეხბურთელის გადასაბირებლად „ჩელსის“ მსტოვრებიც მუშაობდნენ. პსვ-ს პრეზიდენტმა მხოლოდ ახლა განაცხადა, რომ ლონდონური კლუბის წარმომადგენლები ჩუმჩუმად დადიან ჰოლანდიაში. მანჩესტერელთაგან შეთავაზებული თანხის ოდენობა ჩელსელებმა რომ შეიტყვეს, თავად 12 მილიონი გირვანქა შეაძლიეს ჰოლანდიელებს და საქმეც მოაკვარახჭინეს — გუშინ არიენ რობენმა „არისტოკრატებთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ზაფხულიდან „სტეფორდ ბრიჯზე“ გადაბარგდება.

აღსანიშნავია, რომ რობენის გადაბირებაში მთავარი როლი „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა ითამაშა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე „მანჩესტერ იუნაიტედში“ მუშაობდა და რომან აბრამოვიჩთან შარშან გადავიდა. კინიონმა რობენი ასე დაახასიათა: „იგი უმაღლესი კლასის მოთამაშეა და გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი კლუბი ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებზე“. კლაუდიო რანიერიმ კი დასძინა: „ის სწრაფია, ძლიერი, შეუძლია გოლების გატანა და საგოლე პასების გაჩარხვა. მისთვის მოედანზე შეუძლებელი არაფერია. არიენის სათამაშო სტილი პრემიერლიგისთვის ზედგამოჭრილია და მიხარია, რომ „ჩელსი“ ირჩია“.

არიენ რობენი პსვ-ში ორი წლის წინ „ვრონინგენიდან“ გადავიდა. ამ სეზონის 21 მატჩში 7 გოლი მიითვალა, ნაკრებში კი უკვე ოთხჯერ უხმეს.

ვაჟა ხუციშვილი



არიენ რობენი

კლაუდიო რანიერი

2008 რონალდო მეფურ ცხოვრებას აგრძელებს

შარშან რონალდო ლონდონში „სტემფორდ ბრიჯზე“ მოკალათებული ნახეს და ატყდა ამბავი — რომან აბრამოვიჩს „ჩელსიში“ მიჰყავსო. მადრიდში ჩასულმა ბრაზილიელმა კი თქვა, წასვლას არსად ვაპირებო. მოგვიანებით ჭორები აგორდა, „კიჭა“ იტალიაში ბრუნდებაო, მაგრამ არც ეს გამოდგა მართალი, ნაღდი ამბავი კი ასეთია — რონალდომ გუშინ „რეალთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა, ესე იგი, ბრაზილიელი სამეფო გუნდში 2008 წლამდე დარჩება.

„მოხარული ვარ, რადგან ჩემს გარშემო ჭორაობა შეწყდება. ვფიქრობ, დავამტკიცე, რომ „რეალში“ თამაშს ვიმსახურებ“.

ბრაზილიელზე ადრე კონტრაქტები ზიდანმა, რაულმა, გუტიმ და სალგადომაც გააგრძელეს. კლუბის დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა: „ვცდილობთ, გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ, რადგან სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს და ეს ფეხბურთელები აუცილებლად გვჭირდება. რონალდო მსოფლიოში უეჭველად საუკეთესო ფორვარდია, „რეალში“ კი მხოლოდ საუკეთესოები თამაშობენ“.

ვაჟა ხუციშვილი

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ მიროსლავ კლოზესთვის რამდენიმე გუნდმა მიაკითხა, მაგრამ „წითლებმა“, მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, ფორვარდი არ გაყიდეს.

კლუბმა მაშინ ბანკიდან ვალი აიღო, რომელსაც გასტუმრება უნდოდა და საამისო დრო ახლა მოვიდა. „კაიზერსლაუტერნის“ ბოსებს სხვა გზა არ ჰქონდათ და ბრემენის „ვერდერს“ მიროსლავ კლოზე საკმაოდ სარფიანად დაუთმეს

მიროსლავი ბრემენულად დაუკრავს კლოზეს ვერდერში პირველი ვიოლინო გაუმზადეს



ახალ სეზონში მიროსლავ კლოზე თომას შააფის დაკრულზე იცეკვებს

ბრემენელი „მუსიკოსების“ მთავარმევიოლინე, ბრაზილიელი აილტონი და მცველი კრსტაიჩი ახალი სეზონიდან „შალკეს“ მოთამაშეები გახდებიან, ჰოდა, „ვერდერს“ შევსება სჭირდებოდა. გასულ კვირას კლუბმა ნახევარმცველი გუსტავო ნერი შეიძინა, გუშინ კი აილტონის შემცვლელად ბუნდესნაკრების ფორვარდი მიროსლავ კლოზე, რომლის სანაცვლოდ ბრემენელებმა „კაიზერსლაუტერნს“ 5 მილიონი ევრო გადაუთვალეს. იოან მიკუს შემდეგ ეს „ვერდერის“ ყველაზე ძვირი ტრანსფერია, მაგრამ ბრემენელთა სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი კმაყოფილია: „მიხარია, რომ ნაკრების ფეხბურთელი გადმოვიბირეთ. იგი გერმანიაში ერთ-ერთ საუკეთესოა და დარწმუნებული ვარ, გუნდს მალევე შეეწყობა“.

„აილტონის წასვლით დავსუსტებოდით, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი გარიგებაა. მიროსლავისგან ძალიან ბევრ გოლს ველი“ — თქვა მწვრთნელმა თომას შააფმა, ფეხბურთელმა კი აღნიშნა: „ვერდერმა“ ყველა პირობით დამაკმაყოფილა და მეც მომწონს ამ გუნდის შემტევი სტილი. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი“.

მიროსლავ კლოზემ „კაიზერსლაუტერნის“ შემადგენლობაში 43-ჯერ გაიტანა, ხოლო ბუნდესნაკრების მაისურით 35 მატჩში 16 გოლი მიითვალა. ფორვარდმა „ვერდერს“ მომავალი ოთხი წლით დაუკავშირა, ბრემენში სეზონის დასრულებისთანავე გადაბარგდება და ყოველწლიურად 2 მილიონ 500 ათას ევროს ჩაიჯიბავს.

ვაჟა ხუციშვილი

ჯენტლმენი გოლიათის დაკრძალვა ლიდსში



ორშაბათს ლიდსში დაკრძალეს ლეგენდარული უელსელი ფეხბურთელი, „ლიდსისა“ და „იუვენტუსის“ ძველი დროის ვარსკვლავი ჯონ ჩარლზი.

„ჯენტლმენ გოლიათად“ წოდებულ დიდ ფეხბურთელს წესი ლიდსის პარშის ეკლესიაში აუგეს.

იქ დამსწრეთა შორის იყვნენ 70-იანი წლების ევროპაში განთქმული „ლიდსის“ ფეხბურთელები, პიტერ ლორიმერი, ნორმან ჰანტერი, ალან კლარკი და პოლ რეინი, რომლებმაც გამოასვენეს კიდეც კუბო.

იქვე იყო ძველი ლივერპულელი, ასევე უელსელი ჯონ ტოშაკი, რომელმაც საკუთარი ლექსი წაუკითხა მიცვალებულს.

ჩარლზი სუონსში იყო დაბადებული, ჰიდერსფილდის სამკურანლოში კი აღესრულა 72 წლისა. ის თავის საყვარელ მეორე სამშობლოში, იტალიაში ცხოვრობდა, სადაც შეიქნა კიდეც ავად და მერელა გადმოიყვანეს ინგლისში.

დღევანდელ „ლიდსს“ დაკრძალვაზე მარკ ვიდუკა და ალან სმიტი წარმოადგენდნენ, 1992 წლის ჩემპიონების თაობას კი მეკარე ჯონ ლუკიჩი და გორდონ სტრაჩანი. დაკრძალვაზე იყვნენ სერ ალექს ფერგიუსონი, ჯეკ ჩარლტონი და მარკ ჰიუზი.

ცერემონიალი „ელანდ როუდზეც“ ჩატარდა, სადაც „ლიდსის“ ამჟამინდელმა მენეჯერმა ედი გრეიმ თავი ვერ შეიკავა და ემოციური სიტყვით მიმართა დამსწრეებს, დიდ ჯონს ვასაფლავებთ, საუცხოო კაცს და დიად ფეხბურთელსო.

ჩარლზი 17 წლისა იყო, როცა „ლიდსში“ მივიდა და სწორედ იქედან გადავიდა „იუვენტუსში“ 1957 წელს მაშინ ზღაპრულ თანხად, 67 ათას გირვანქად.

ახლა „ლიდსმა“ მისი სახელი უწოდა „ელანდ როუდის“ დასავლეთ ტრიბუნას. თავის დროზე, ეს ტრიბუნა სწორედ იმ ფულით აშენდა, „იუვენტუსმა“ რომ გადაუხადა იორკშირელებს. კარიერის ბოლოს ჩარლზი თამაშობდა „რომაში“, „კარდიფსა“ და „ჰერეფორდში“, სადაც მოთამაშე მწვრთნელად იყო.

„ჯენტლმენი გოლიათი“ მას იტალიელმა ტიფოზებმა შეარქვეს: კარიერაში ერთხელაც არ მიუღია ყვითელი ბარათიც კი. ჯონ ჩარლზი საოცარი ფეხბურთელი იყო — მეგოლე ცენტრფორვარდი, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეეძლო თამაში და ამ საქმეშიც ბევრს სჯობდა.

ირაკლი გამყრელიძე

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს ყოველწლიურ, 118-ე თავყრილობაზე, რომელიც 28 თებერვალს ლონდონში ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის ხელმძღვანელობით გაიმართა, თამაშის წესებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს. უმთავრეს მომენტებს ჩამონათვალი ფორმით მოგახსენებთ

გაიხდი და გადაიხდი

ოქრო-ვერცხლს ფასი დაეკარგა



წესი 1, *მოედანი:* ამა თუ იმ კონკრეტული შეჯიბრების დებულება თუ არ კრძალავს, ფეხბურთის მატჩები თანაბრად შეიძლება გაიმართოს როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურ საფარზე. თუ მატჩი ხელოვნურ საფარზე ტარდება, საფარის ხარისხი შესაბამის საერთაშორისო სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს.

წესი 3, *მოთამაშეთა რაოდენობა:* ამხანაგურ შეხვედრებში ექვს შეცვლაზე მეტი აიკრძალულია.

წესი 10, *გოლის გატანის ხერხი:* გამარჯვებულის გამოსავლენად (საუბარია მატჩებზე, რომლებიც პლეი ოფის სისტემით ტარდება) საბჭომ უპირატესობა ორ 15-წუთიანი დამატებითი ტიმის მეთოდს მიანიჭა. თუ ეს ტაიმებიც ფრედ დასრულდება, მხარეები პენალტებს დაარტყამენ. ერთი სიტყვით, „ოქროსა“ და „ვერცხლის“ გოლების წესი აიკრძალა.

წესი 12, *დასჯა:* ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც გოლის გატანის შემდეგ მაისურს გაიხდის, არასპორტული ქცევის გამო ყვითელი ბარათით დაისჯება.

ჩამოთვლილი წესები 2004 წლის 1 ივნისიდან არის სავალდებულო.

გარდა ამისა, იყო სხვა წინადადებებიც, რომლებიც საბჭომ არ დაამტკიცა. კერძოდ, საბჭომ დაიწუნა წინადადება ტაიმებს შორის შესვენების 15-დან 20 წუთამდე გაზრდის შესახებ. არ დაკმაყოფილეს აგრეთვე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თუ ცოცხალი კედელი მოთხოვნილ 9-მეტრიან დისტანციას ეურჩება, დისტანცია უნდა გაიზარდოს.

პაპუნა კედია

შეამცირეთ!

ბლატერმა პრემიერლიგის სიგრძე დაიწუნა

ლონდონში მყოფმა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ინგლისელებს ურჩია, რომ პრემიერლიგისა და ასოციაციის თასის ფორმატი უნდა შეიცვალოს.

ბლატერს მიაჩნია, რომ ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში 16-16 გუნდი უნდა თამაშობდეს, თუმცა, ამ ოდენობამდე გრძელი გზაა და ინგლისელებს ურჩევს, პრემიერლიგა 18 გუნდამდე შეამცირონ. „თქვენ გაქვთ ასოციაციის და ლიგის თასები და ძველი ტრადიცია, რომ ასოციაციის თასზე ფრეს ხელახალი თამაში, გადათამაშება მოსდევს“ — თქვა ბლატერმა — „თუ გადათამაშებები გაუქმდება, ლიგას კი ორი გუნდი მოაკლდება, ეს ამ ეტაპზე იდეალური იქნება. ინგლისში ძალიან ბევრი შიდა თამაშია. ჩვენ გვინდა, რომ შიდა თამაშები 43-დან 47-მდე იყოს და მოთამაშეს წელიწადში 60-ზე მეტი არ გამოუვიდეს“.

მიიღებენ თუ არა ინგლისელები ამ წინადადებებს, მომავალი გვიჩვენებს.

კვერცხის ხანის ფეხბურთი

სიკვდილის დარტყმა 11 მეტრიდან

მაშ ასე, ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭომ 118-ე ყოველწლიურ თავყრილობაზე თამაშს წესები შეუცვალა, ალბათ თანამედროვეობისთვის ყველაზე მისაღები სახე მისცა: ცხადია, საბჭო მომავალშიც განაგრძობს ფეხბურთისთვის კალაპოტის გაწმენდას, რადგან ასე იყო და ასეა. ყოველ ეპოქას თავისი შლამი ჩააქვს მდინარეში, ყოველ დროებას თავისი კითხვები ჰქვს და თავის პასუხებს ითხოვს.

ასთვრამეტი წელიწადიო... იცით, საიდან წამოვიდა ჩვენი საყვარელი თამაში და რამდენი რამ შეიცვალა, სანამ დღევანდელ სახეს მიიღებდა? ფიფას საინტერნეტო ვებ-გვერდმა ის სიძველენი შემოგვთავაზა, რაც თანამედროვე ქომაგების დიდმა ნაწილმა, ეჭვი არ არის, არც იცის

1. პირველ სანაკრებო შეხვედრაში, რომელიც 1872 წელს გაიმართა და ერთმანეთს ინგლისელები და შოტლანდიელები შეხვდნენ, ფეხბურთელებს მხოლოდ გრძელი შარვლები კი არ ეცვათ, ქუდებიც ეხურათ. დაახლოებით მე-20 საუკუნემდე ქუდი ფეხბურთელთა ფორმის ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი გახლდათ.

2. იმხანად ბურთები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მრგვალი არც კი იყო. მაშინდელ „მხტუნავ სავანს“, რომელიც ბუშტივით იბერებოდა, თავსა და ბოლოში კი ტყავის გარსი თასმებით ეკვრებოდა, უფრო კვერცხის ფორმა ჰქონდა. ბურთები მხოლოდ მას მერე დამრგვალდა, რაც ეგრეთ წოდებული ინდური რეზინი აღმოაჩინეს.

3. ადრინდელი ბურთები თანამედროვეზე მსუბუქი გახლდათ. 1889 წელს მისი წონა 340-425 გრამი გახლდათ, 1937 წელს კი ეს წონა 394-454 გრამამდე გაზარდეს.

4. ფეხბურთის წესების 1863 წლის რედაქციაში ხარიხაზე (ანუ ზედა ძელზე) არაფერია ნათქვამი. დღევანდელი რაგბის მსგავსად გოლი ორ ძელს შორის ნებისმიერ სიმაღლეზე ითვლებოდა. მოგვიანებით, როდესაც უკვე სანაკრებო თამაშები მომწიფდა, ძელებს შორის თოკი გააბეს, 1875 წელს კი ნამდვილი ხარიხაც გაიდო.

5. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრი სხვანაირად ფიქრობს, იმხანად ფეხბურთი საკმაოდ მაღალი საზოგადოების თამაში გახლდათ. მისი წესები მნიშვნელოვანწილად სახალხო სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებმა განსაზღვრეს. მე-19 საუკუნეში მუშათა კლასი ფეხბურთს ჯერ ეჩვეოდა და ნელა ერეოდა.

6. 1863 წლის 26 ოქტომბერს ფეხბურთის ასოციაციის პირველი სხდომა 12 მონაწილის იდილიური თანხმობით სულაც არ დასრულებულა. ერთი კლუბის წარმომადგენელმა პროტესტის ნიშნად დატოვა იქაურობა, ხოლო პროტესტი იმიტომ გამოთქვა, რომ დანარჩენებმა უარი თქვეს ჯარიმის დაკანონებაზე.

7. ადრეული საფეხბურთო ტაქტიკა თამაშს დღევანდელი რაგბის იერს აძლევდა. გუნდებს ბევრი თავდამსხმელი ჰყავდათ და თან, ვინაიდან ოფსაიდის მაშინდელი წესი დაწინაურებულ ფეხბურთელებს ბურთთან შეხებას უკრძალავდა, შეტევა ხშირად ბურთის გარშემო დაჯგუფებას დ მის წინ რამენაირად გადაგდებას ნიშნავდა.

8. მსჯელებს თანამედროვეს მაგვარი ფუნქცია და ადგილი მოედანზე მხოლოდ 1891 წელს მიენიჭათ. მანამდე იგულისხმებოდა, რომ ნამდვილი ჯენტლმენი განზრახ წესს არასდროს დაარღვევს, ხოლო საკამათო ვითარებაში მოთამაშეები ჯერ კაპიტნებს მიმართავდნენ, ხოლო შემდეგ საგანგებო განმსჯელს.

9. პენალტის ნიშნული მე-20 საუკუნემდე არ იყო განსაზღვრული. სანამ სიტყვა „პენალტს“ მოიგონებდნენ, ამ დარტყმას სიკვდილისას უწოდებდნენ და ბურთს 'კარიდან 11 მეტრში თავდამსხმელის სურვილის მიხედვით დებდნენ.

10. ხელით ბურთის თამაში მხოლოდ 1863 წლის წესებით აიკრძალა, თუმცა მანამდეც იყო შეზღუდვები. კერძოდ, თუ ბურთი მიწაზე იყო, ხელის ხლება არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ბურთი მიფრინავდა, მოთამაშეს მისი დაჭერის ნება ეძლეოდა.

11. 1927 წლამდე საჯარიმო დარტყმით პირდაპირ გოლის გატანა არ შეიძლებოდა.

12. 1912 წლამდე მეკარეებს, თავიანთ ნახევარზე, ბურთის ხელით გაჩერება საჯარიმოს გარეთაც შეეძლოთ და შიგნითაც.

13. ყვითელი და წითელი ბარათები ლონდონის კენსინგტონის ჰაი სთრითის შუქნიშნის მიბაძვით შემოიღეს. კერძოდ, ინგლისელი მსაჯი (მოგვიანებით ფიფას მსაჯთა კომიტეტის თავი) კენ ასტონი კენსინგტონის შუქნიშანთან თავისი მანქანით სწორედ მაშინ მივიდა, როდესაც გაფრთხილების და გაძევების ნათლად გამოსახვის ხერხებზე ფიქრობდა.

14. 1909 წლამდე მეკარის ფორმა სავალდებულოდ ლურჯი ან თეთრი იყო. 1921-ში თუ მეკარე თავის ქვეყანაში ნომერ პირველი ხდებოდა, მაშინ ივი ყვითელს იცვამდა.

პაპუნა კედია

მოსალოდნელია სტრიპტიზი ინტერნაციონალური

ალბერტო ძაკერონი „ინტერის“ შესაძლებლობებში დარწმუნებულია

„გაიხადეთ ჩვენი მაისურები“ — ეწერა პლაკატზე, რომელიც „ინტერის“ გულგაწვრილებულმა ტიფოზებმა გასულ კვირას „ბრეშასთან“ მატჩისას გამოფინეს. ვისაც გახდა არ უნდა, დღეს „სოშოსთან“ მოუწევს იმის დამტკიცება, რომ „შავ-ლურჯი“ ფორმის ღირსია.

ალბერტო ძაკერონის გუნდი ექტორ კუპერისეულ „ინტერს“ დაემსგავსა. იმ დროინდელს, „ლოკომოტივთან“ მოსკოვში 0:3 რომ წააგო. მილანურ კლუბს ფული თავზე აყრია, ფეხბურთელებსაც მსოფლიოს ყველა წერტილიდან ხვეტს, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ქომაგების გულის ოდნავ მაინც მოლბობა თუ სურთ, დღეს მილანელებმა მეტოქე მოედანზე უნდა დაადულონ.

ალბერტო ძაკერონი: „დარწმუნებული ვარ, გუნდს ბევრად უკეთესად თამაში შეუძლია, მაგრამ კალაპოტიდან ამოვვარდით. თან რამდენიმე ფეხბურთელიც ტრავმირებული გვყავდა და ამიტომ გავიჭირდა“. „ინტერის“ დაღონებულ მწვრთნელს ერთი სასიხარულო ამბავი აცნობეს — ფაბიო კანავარო გამოჯანმრთელდა. მცველმა დღეს შეიძლება ვერ ითამაშოს, მაგრამ ჩემპიონატის მომავალ ტურში ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ისთანბულსფორთან“ საშინაო მარცხმა „ბეშიქთაშის“ თავკაცი მირჩა ლუჩესკუ ჩააფიქრა: „ფეხბურთელებმა თითქოს საკუთარი თავის რწმენა დაკარგეს. „ვალენსიასთან“ გამოჩნდება, არის თუ არა გუნდი კრიზისში“.

რუმინელი მწვრთნელი აფორიაქებულია. „ბეშიქთაში“ სეზონის დაწყებიდან ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ მეორე წრიდან აშკარად უკლო და თავზე „ფენერბაჰჩე“ წამოაჯდა.

არანაკლები საფიქრალი აქვს რაფაელ ბენიტესს, რომლის „ვალენსიამ“ პრემერადივიზიონში მიჯრით ორი შეხვედრა წააგო — შინ „ბარსელონასთან“, შემდეგ კი ბარსელონაში „ესპანიოლთან“. ექვსი დაკარგული ქულას შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს გუნდს, რომელიც ჩემპიონობას უმიზნებდა. „რეალთან“ საგრძნობლად ჩამორჩენილ ვალენსიელებს ევროპულ სარბიელზე მოუწევთ ძალების მობილიზება. ბენიტესი სტამბოლში ხუთკაცნაკლული ჩავა. ვისენტე, მისტა, ალბელდა, კურო ტორესი, ოლივეირა და ხორხე ლოპესი ავადობენ.

ზემოხსენებულ კოლეგებზე არანაკლებ შავ დღეშია „ლივერპულის“ მწვრთნელი. მისგან პრემიერლიგის ოთხეულში შეძვრომას და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ითხოვენ. ცალკე სატკივარია უეფას თასი, თუმც ჟერარ ულიეს ამ მხრივ ოდნავ უკეთესი ვითარება აქვს, რადგან „ლივერპულმა“ პირველი მატჩი მოიგო. დღეს „ლევსკის“ სტუმართა გამკაცრებული დაცვის რღვევა ძალიან გაუჭირდება.

მიჯრით ექვსი შეხვედრაა, „ბარსელონამ“ ფრისა და მარცხის გემო არ იცის. დღეს „კამპ ნოუს“ თავზე ერთი კითხვისნიშნიანი წინადადება ჩამოეკიდება — შეძლებენ თუ არა კატალონიელები ზედიზედ მეშვიდედ მოგებას? ფრანკ რაიკარდი ასე ბჭობს: „ჩვენ კარგად ვთამაშობთ და ვცდილობთ, ხარისხი კიდევ გავაუმჯობესოთ. ნებისმიერი მატჩის წინ სრული კონცენტრაციაა საჭირო“.

ნევიო სკალამ „სპარტაკი“ ესპანეთში გასულ შაბათს წაიყვანა. მოსკოვში დარჩნენ ახალშეძენილი ლეგიონერები, რომლებსაც უეფას თასზე გამოსვლის უფლება არა აქვთ. იტალიელმა მწვრთნელმა ტრავმირებული პავლენკო და დასჯილი ტიტოვიც დედაქალაქში დატოვა, ისე როგორც კებე. უილბლო სენეგალელს „მალიორკასგან“ გაშვებული გოლები დააბრალეს და ახლა გაყიდვას უპირებენ. სკალამ მასზე თქვა: „კებე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ დაგვაღალატა და მოსკოვურ შეხვედრაში რამდენჯერმე უხეშად შეცდა“.

„გალათასარაის“ მთავარმეგოლე ჰაკან შუქურმა სტამბოლში „ვილიარეალთან“ ტრავმის გამო ვერ ითამაშა. „ბოსფორის ბუღა“ ბოლომდე ჯერ ვერ მოკეთებულა, მაგრამ „გალას“ ესპანეთში მაინც გაჰყვა. ფათიჰ თერიმმა მოკლედ მოჭრა: „მოსაგებად მივდივართ, რადგან სხვა გზა არ გვაქვს“.

„ვილიარეალი“ ამ სეზონში შინ სტაბილურად კარგად თამაშობს, თუმც გასულ უქმეებზე ბილბაოს „ატლეტიკს“ სამი ქულა გაატანა. გუნდი ორი კვირის წინ მწვრთნელმა მიატოვა და შესაძლოა, „ვილიარეალის“ ამჟამინდელ დროებით თავკაცს პრობლემები დაუგროვდა.

„გენჩლერბირლიგმა“ „პარმას“ ერთი კვირის წინ გვარიანი ალიყური აჭამა — „ენიო ტარდინიზე“ ანკარელებმა იმარჯვეს. შემდეგ ამავე სტადიონზე „რომამ“ გაილაღა და ჩეზარე პრანდელის გუნდს გაკვეთილი ჩაუტარა. პარმელებმა ორი წაგებული მატჩით თუ რამე ისწავლეს, თურქეთში გამოჩნდება.

მასპინძელთა მწვრთნელი ერთსულ იანალი: „სიფრთხილე გვმართებს, რომ ნაჯაფი წყალს არ გავატანოთ. ერთბურთიანი უპირატესობა გვაქვს, დამშვიდების უფლება კი — არა. ფეხბურთელებს დაცვაში მკაცრ თამაშს და მაქსიმალურ ყურადღებას მოვთხოვ, რადგან თუ გაგვიტანეს, ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს“.

„რომასთან“ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს „გაზიანთეფს“, რომელმაც პირველ შეხვედრაში ფაბიო კაპელოს შესუსტებულ გუნდს სძლია. „რომა“ გამგელებული ელის თურქებთან შეხვედრას, თუმც ფეხები სტუმრებსაც არ უკანკალებთ. „გაზიანთეფის“ ერთ-ერთმა ჰასლტუხიანმა, ასიმ ატმაზმა იტალიაში გამგზავრებამდე სამშობლოში სიტყვა დატოვა: „რომაელების არ გვეშინია, შინ ისტორიული გამარჯვებით დავბრუნდებით“.

„მარსელის“ ფორვარდი დიდიე დროგბამ ერთი კვირის წინ „დნიპროს“ პენალტით გაუტანა. მეგოლე ნამატჩევს ნამუსმა შეაწუხა და თქვა, თერთმეტმეტრიანი დარტყმის შესრულებისას ბურთს ორჯერ შეეხე, მაგრამ მსაჯმა ვერ შეამჩნია. უკრაინული „დნიპროს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებსა და ქომაგებს ეს ამბავი არ გამორჩენოდათ და დნეპროპეტროვსკში დროგბა თავის წილ სტვენას ალბათ მიიღებს.

ვაჟა ხუციშვილი

უეფას თასი

UEFA CUP 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ UEFA CUP

მალიორკა (ესპანეთი) — **სპარტაკი** (მოსკოვი, რუსეთი) (3:0)
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) — **ვოლფსბურგი** (გერმანია) (1:1)
ბორდო (საფრანგეთი) — **ბროცლინი** (ბელგია) (1:0)
დნიპრო (დნეპროპეტროვსკი, უკრაინა) — **მარსელი** (საფრანგეთი) (0:1)
რომა (რომი, იტალია) — **გაზიანთეფსფორი** (თურქეთი) (0:1)
გენჩლერი (თურქეთი) — **პარმა** (იტალია) (1:0)
პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — **პერუჯა** (იტალია) (0:0)
ტეპლიცე (ჩეხეთი) — **სელტიკი** (გლაზგო, შოტლანდია) (0:3)
პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — **ოსერი** (საფრანგეთი) (0:0)
ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — **ლივერპული** (ინგლისი) (0:2)
ვილიარეალი (ესპანეთი) — **გალათასარაი** (სტამბოლი, თურქეთი) (2:2)
დებრეცენი (უნგრეთი) — **ბრიუგე** (ბელგია) (0:1)
ბარსელონა (ესპანეთი) — **ბრონდბიუ** (კოპენჰაგენი, დანია) (1:0)
ინტერი (მილანი, იტალია) — **სოშო** (საფრანგეთი) (2:2)
რუსენბორგი (ტრონჰეიმი, ნორვეგია) — **بენფიკა** (ლისაბონი, პორტუგალია) (0:1)
ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) — **ვალენსია** (ესპანეთი) (2:3)

ჟერარ ულიეს სოფიაში გულღიად დახვდნენ

დიდიე დროგბამ უნამუსობა აღიარა

„ბრონდბიუს“ მწვრთნელმა, ოდინდელმა ბარსელონელმა მიქაელ ლაუდრუპმა ძველი დრო გაიხსენა: „კამპ ნოუზე“ ბურთი გააგორა

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური						
		3 მარტი						
23.45	001	ბირმინგემი-მიდლსბრო	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
		ინგლისი. I დივიზიონი. XXXIV ტური						
		3 მარტი						
23.45	042	დერბი-ქრიუ	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ინგლისი. II დივიზიონი. XXXIV ტური						
		3 მარტი						
23.45	066	სუინდონი-ტრანმერი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		ინგლისი. III დივიზიონი. XXXIV ტური						
		3 მარტი						
23.45	090	ბოსტონი-საუთენდი	2,05	3,2	3,3	1,24	1,26	1,62
23.45	091	ოქსფორდი-იორკი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
		იტალია. სერია B. XXX ტური						
		4 მარტი						
23.30	188	ატალანტა-ვერონა	1,65	2,8	7,0	1,03	1,33	2
23.30	189	ბარი-ჯენოა	2,35	2,5	3,4	1,21	1,38	1,44
23.30	190	კალიარი-მესინა	1,75	2,6	6,0	1,04	1,35	1,81
23.30	191	კატანია-ტრევიზო	1,8	2,6	5,3	1,06	1,34	1,74
23.30	192	ფიორენტინა-სალერნიტანა	1,75	2,6	6,0	1,04	1,35	1,81
23.30	193	ლივორნო-ასკოლი	1,7	2,7	6,5	1,04	1,34	1,9
23.30	194	ნაპოლი-ტრიესტინა	1,85	2,6	5,0	1,08	1,35	1,71
23.30	195	პესკარა-პალერმო	2,9	2,5	2,7	1,34	1,39	1,29
23.30	196	პიაჩენცა-კომო	1,55	3,0	7,5	1,02	1,28	2,14
23.30	197	ტორინო-ტერნანა	2,05	2,6	4,2	1,14	1,37	1,6
23.30	198	ვენეცია-ალბინოლეფე	1,85	2,6	5,0	1,08	1,35	1,71
23.30	199	ვიჩენცა-აველინო	1,65	2,9	6,5	1,05	1,31	2
		იტალია. სერია C1/A. XXIII ტური						
		3 მარტი						
17.30	218	ვარეზე-ლუკეზე	2,7	2,5	2,8	1,29	1,37	1,32
		შვეიცარია. ჩემპიონატი. გადადებული მატჩები						
		3 მარტი						
22.30	376	სიონი-მეირინი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
22.30	377	ანიო-ვოლენი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		ჩეხეთი. XVIII ტური						
		3 მარტი						
19.00	400	ბანიკი-სინოტი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
		მექსიკა. კლაუსურა. V ტური						
		3 მარტი						
06.45	479	სანტოსი-კრუს ასული	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
		შვეიცარია. თასი. 1/2 ფინალი						
		3 მარტი						
23.15	501	გრასჰოპერი-ციურიხი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
		4 მარტი						
23.15	502	სტ.ვალენი-ვილი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
		საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები						
		4 მარტი						
21.00	504	აეკ-ირაკლისი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
		საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები						
		3 მარტი						
21.00	503	პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი	5,0	3,5	1,55	2,05	1,18	1,07
		უეფას თასი. 1/16 ფინალი. II მატჩები						
		3 მარტი						
19.15	517	ვენჩლერბირლიგი-პარმა	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
20.00	518	დნიპრო-მარსელი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
20.30	519	რომა-გაზიანთეფი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
21.00	520	ტეპლიცე-სელტიკი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
21.00	521	დებრეცენი-ბრიუგე	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
21.45	522	ბორდო-გროცლინი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.30	523	ბეშიქთაში-ვალენსია	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
22.45	524	პანათინაიკოსი-ოსერი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
23.10	525	ლევსკი-ლივერპული	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.30	526	პსვ-პერუჯა	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
23.45	527	ნიუკასლი-ვოლერენგა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
23.45	528	რუსენბორგი-ბენფიკა	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
23.45	529	ინტერი-სოშო	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
24.00	530	მალიორკა-სპარტაკი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
00.15	531	ბარსელონა-ბრიონდბიუ	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
00.30	532	ვილიარეალი-ვალათასარაი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		შემდეგ ეტაპზე გასვლა						
		3 მარტი						
19.15	7001	ვენჩლერბირლიგი-პარმა	1,3					2,8
20.00	7002	დნიპრო-მარსელი	3,3					1,15
20.30	7003	რომა-გაზიანთეფი	1,25					3,1
21.00	7004	ტეპლიცე-სელტიკი	10,0					1,0
21.00	7005	დებრეცენი-ბრიუგე	3,5					1,15
21.45	7006	ბორდო-გროცლინი	1,01					7,5
22.30	7007	ბეშიქთაში-ვალენსია	2,6					1,35
22.45	7008	პანათინაიკოსი-ოსერი	1,8					1,6
23.10	7009	ლევსკი-ლივერპული	6,5					1,01
23.30	7010	პსვ-პერუჯა	1,4					2,4
23.45	7011	ნიუკასლი-ვოლერენგა	1,01					6,5
23.45	7012	რუსენბორგი-ბენფიკა	2,7					1,25
23.45	7013	ინტერი-სოშო	1,05					5,0
24.00	7014	მალიორკა-სპარტაკი	1,0					20,0
00.15	7015	ბარსელონა-ბრიონდბიუ	1,01					10,0
00.30	7016	ვილიარეალი-ვალათასარაი	1,1					4,0
		ლიბერტადორესის თასი						
		3 მარტი						
00.30	537	ფენიქსი-მარაკაიბო	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
02.45	538	ვილსტერმანი-გუარანი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55
02.45	539	ბოკა ხუნიორსი-კოლო კოლო	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
05.00	540	ბარსელონა-სანტოსი(ბრ)	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
		4 მარტი						
02.00	541	ნასიონალი-სენსიანო	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
04.15	542	უნივერსიტარია-სან პაულუ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
04.15	543	როსარიო-კურიტიბა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
06.30	544	ალიანსა-კობრელოა	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		რაგბი. ექვსი ერის თასი						
		6 მარტი						
17.30	901	იტალია-შოტლანდია	2,5	14,0	1,45	2,12	1	1,31
20.00	903	ინგლისი-ირლანდია	1,03	25,0	7,5	1	1	5,76
		7 მარტი						
19.00	905	უელსი-საფრანგეთი	4,0	17,0	1,2	3,23	1	1,12
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		3 მარტი						
19.45	1032	ზნოიმო-სლავია	2,1	4,2	2,4	1,4	1,12	1,52
23.00	1033	სპარტა-ვიტკოვიცე	1,4	4,6	5,0	1,07	1,09	2,39

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

06.03	18.30	6001	გერმანია ბლ (XXIII)	25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9
06.03	21.00	6002	იტალია A (XXIV)	23 და ნაკლები – 1.9; 25 და მეტი – 1.9
06.03	22.30	6003	ესპანეთი Iდ (XXVII)	25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9
05.03	23.00	6004	საფრანგეთი Iდ (XXVII)	21 და ნაკლები – 1.9; 23 და მეტი – 1.9
05.03	01.30	6005	პორტუგალია სლ (XXV)	22 და ნაკლები – 1.9; 24 და მეტი – 1.9
05.03	23.00	6006	ჰოლანდია Iდ (XXIV)	25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9
05.03	23.30	6007	ბელგია Iდ (XXV)	25 და ნაკლები – 1.9; 27 და მეტი – 1.9

ჩემპიონები და თასის აღება

9001
ინგლისი (13.03)

არსენალი	1,04
მანჩესტერი	6,0
ჩელსი	10,0

9002
გერმანია (06.03)

ვერდერი	1,5
ბაიერნი	2,1
შტუტგარტი	15,0

9003
იტალია (06.03)

მილანი	1,35
რომა	4,0
იუვენტუსი	5,0

9004
ესპანეთი (06.03)

რეალი	1,01
ვალენსია	9,0
დეპორტივო	12,0

9005
საფრანგეთი (05.03)

მონაკო	1,25
ლიონი	3,2
პსჟ	5,6

9006
პორტუგალია (05.03)

პორტუ	1,01
სპორტინგი	10,0
ბენფიკა	30,0

9007
ჰოლანდია (06.03)

აიაქსი	1,02
პსვ	6,0

9008
ავსტრია (06.03)

ავსტრია	1,5
რაპიდი	3,5
გრაცერი	3,8

9009
დანია (14.03)

ბრიონდბიუ	1,3
ესბიერგი	4,0
კოპენჰაგენი	5,0

9010
საბერძნეთი (13.02)

ოლიმპიაკოსი	1,6
პანათინაიკოსი	2,0

9011
უკრაინა (07.03)

შახტარი	1,55
დინამო	1,95

9020 ჩემპიონთა თასი (09.03)
რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს

ინგლისი	1,6
იტალია	2,5
[illegible]	2,7
საფრანგეთი	11,0
გერმანია	12,0

9020 ჩემპიონთა თასი (09.03)

რეალი	4,0
არსენალი	4,4
მანჩესტერი	4,8
მილანი	4,8
ჩელსი	5,3
იუვენტუსი	5,6
დეპორტივო	12,0
ბაიერნი	16,0
ლიონი	20,0
მონაკო	25,0
პორტუ	25,0
სოსიედადი	50,0
შტუტგარტი	50,0
სელტა	75,0
ლოკომოტივი	75,0
სპარტა	125,0

9022
უეფას თასი (26.02)

ბარსელონა	5,0
ინტერი	5,0
ლივერპული	5,0
რომა	5,6
ვალენსია	5,6
ნიუკასლი	7,0
სელტიკი	10,0
მარსელი	15,0
პარმა	20,0
ბორდო	20,0
მალიორკა	20,0
პსვ	20,0
ვილიარეალი	20,0
ოსერი	25,0
ბრიუგე	30,0
ბენფიკა	30,0
ბეშიქთაში	30,0
პანათინაიკოსი	30,0
გალათასარაი	40,0
პერუჯა	50,0
სოშო	50,0
რუსენბორგი	50,0
გენჩლერბირლ.	50,0
გასიანთეფი	75,0
ბრიონდბიუ	100,0
დნიპრო	100,0
გროცლინი	200,0
დებრეცენი	250,0
ვოლერენგა	250,0
ტეპლიცე	300,0
ლევსკი	300,0
სპარტაკი	300,0

9031
NHL (05.04)

კოლორადო	4,0
დეტროიტი	5,0
ფილადელფია	5,5
ვანკუვერი	6,0
ნიუ ჯერსი	6,5
ოტავა	7,0
ტორონტო	7,5
სტ.ლუისი	15,0
დალასი	12,0
ბუფალო	18,0
სან ხოსე	15,0
ტამპა ბეი	15,0
ლოს ანჯელესი	25,0
კალგარი	30,0
აილენდერსი	40,0
მონრეალი	40,0
ნეშვილი	40,0

9032
NBA (15.04)

ლეიკერსი	2,0
საკრამენტო	3,5
სან ანტონიო	5,0
მინესოტა	6,0
დალასი	8,0
ინდიანა	10,0
დეტროიტი	15,0
ნიუ ჯერსი	12,0
ნიუ ორლეანი	30,0
ჰიუსტონი	50,0
ფილადელფია	75,0
ბოსტონი	75,0
დენვერი	75,0
ნიუ იორკი	60,0
ტორონტო	75,0
მილუოკი	75,0
პორტლენდი	100,0
მემფისი	75,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ



ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4.	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

მევლუდის სიტყვა

ქართველებს მებრძოლი სული გვაქვს

რუსეთი მოედანზე მტერია

რუსეთთან თამაში კარზეა მომდგარი და ამ განსაკუთრებული მატჩისთვის განსაკუთრებული ანუ არაექსპერიმენტული შემადგენლობით ემზადება ჩვენი ნაკრები. მცხეთაში შეიკრიბა ყველა, ვინც ჯანმრთელია და ვინც საფრანგეთიდან ჩამოსვლა შეძლო. გაიმარჯვებენ თუ ვერა ბორჯღალოსნები? ამ საჭირბოროტო კითხვაზე პასუხს შაბათამდე უნდა დაველოდოთ. მაგრამ ფაქტია, რომ ქართველებიც და რუსებიც მოსაგებად გავლენ მოედანზე. ბორჯღალოსნებმა გუშინ საგურამოში ივარჯიშეს. ჩვენ კი ქართული რაგბის ერთ-ერთ უძლიერეს პირველხაზელს, კლოდ სორელის მიერ ათვალწუნებულ მევლუდ მთიულიშვილის გავესაუბრეთ

— მევლუდ, რამდენი ხანია, ნაკრებში არ გითამაშია?

— შარშან ერთა თასის შემდეგ ნაკრებში აღარ გამომიძახეს, ვფიქრობ, სორელმა ამით სამაგიერო გადამიხადა.

— რისთვის?

— ჩემი აზრის გამოხატვისთვის დავისაჯე, თანაც შევეპასუხე.

— უფრო დაწვრილებით, თუ შეიძლება?

— იყო მიზეზები, თუმცა ამაზე არ მინდა საუბარი. ეს მხოლოდ ჩემი და კლოდის საქმეა. ნაკრებიდან გამოშვების მიზეზად კი მოიტანა, რომ უკვე წლოვანი ვიყავი და ახალგაზრდებისთვის უნდა დამეთმო გზა. შემდეგ კი დამპირდა, რომ მსოფლიოს თასზე წამსვლელთა სიაში პირველხაზელ კანდიდატებს შორის მეექვსე ვიქნებოდი, მაგრამ 40 კაცშიც კი ვერ მოვხვდი, არადა მსოფლიოზე თამაში ჩემი ერთადერთი ოცნება იყო, მით უმეტეს, რომ სამი მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩები მაქვს ნათამაშები.

— ლევან ცაბაძეც შენს მსგავსად დაიჩაგრა?

— „ლეონსიოს“ მაგივრად მე ვერ ვისაუბრებ, თუმცა ისიც ფაქტია, პირადულის გამო დაიჩაგრა. მას პირდაპირ უთხრეს აღარ გვჭირდებიო.

— ახლა ცოტა შენზეც მოგვიყევი, საფრანგეთში როგორ ცხოვრობ?

— ვვარჯიშობ, ვთამაშობ და რაც მთავარია, მაფასებენ. ახლა „ორიაკთან“ მაქვს ერთწლიანი კონტრაქტი.

— „ბეზიე“ რატომ გაცვალე „ორიაკზე“?

— ხელის ოპერაცია გავიკეთე მარტში და „ბეზიესთან“ კონტრაქტიც დამიმთავრდა, ამიტომაც გადავწყვიტე „ორაკში“ გამეგრძელებინა კარიერა.

— ბოლო თამაში ვისთან გქონდათ?

— „ალბის“ ვეთამაშეთ. სხვათა შორის, „ალბიში“ გიორგი წიკლაური თამაშობს. მე ძირითად შემადგენლობაში ვარ და ამ მატჩშიც მწვრთნელებმა ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

— ირაკლი აბუსერიძეც შენ კლუბშია. თუ ხვდება ძირითად შემადგენლობაში?

— კი. მან შეიძლება ორივე არა, მაგრამ ერთი ტაიმი აუცილებლად ითამაშოს.

— ნაკრებში რომ დაგაბრუნეს, რა განცდა დაგეუფლა?

— უზომოდ გამიხარდა. ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია ჩემი ქვეყნისთვის.

— ჭირდება ამდენი მწვრთნელი ნაკრებს?

— ძალა ერთობაშია. საღად მოაზროვნე მწვრთნელები არიან, ერთმანეთსაც კარგად იცნობენ. მგონია, რომ საქმეც გაკეთდება.

— ხომ არ აჯობებდა უცხოელი მწვრთნელი?

— რატომ, ამათმაც სცადონ, იქნებ უცხოელებზე ძლიერი მწვრთნელები ჩვენ გვყავს. პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ ანალიზის გაკეთება არ ღირს. პირველი მატჩი იყო, თან შეთამაშებულებიც არ იყვნენ ბიჭები და ახალგაზრდებიც გამოცადეს.

— ახლანდელ მეტოქეს, რუს „დათვებს“ კარგად იცნობ. ვის უნდა ვუფრთხილდეთ მათგან?

— სერგეევი, გრაჩოვი, რაჩკოვი ძლიერი მეტოქეები არიან და ყველაზე მეტად სწორედ მათ უნდა ვუფრთხილდეთ, თუმცა ძლიერზე ძლიერი არ დაილევა.

— რატომ ვერ გვიგებდნენ რუსები? მათ ეს მოთამაშეები მანამდეც ჰყავდათ...

— ქართული სული უფრო მებრძოლია. ბიჭები მათ წინააღმდეგ რომ გავდივართ, სხვა აღრენალინია. არ მინდა პოლიტიკური სახე მივცე რუსეთთან მატჩს, თუმც ისინი მოედანზე მაინც მტრები არიან.

ნინო ლეჟავა

ხასაიმ გამოირიცხა

დარჩიას ექვსი ლიცენზია დარჩა

გუშინ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა სამკაციანი ნაკრები სერბული ნოვი სადიდან ორი ოლიმპიური ლიცენზიით დაბრუნდა. ვერაფერს იტყვი, საკმაოდ კარგი შედეგია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია მაინც შეფიქრიანებული ჩანს: გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და ათენში საპრიზო ადგილისთვის შეგულებულმა ბადრი ხასაიამ მძიმე ტრავმა მიიღო და ოლიმპიადაზე ოცნებასაც წერტილი დაუსვა. დარჩიას ისღა დარჩენია, ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ტაშკენტში სხვა წაიყვანოს. უკვე არჩევანიც გაუკეთებია...

— სერბული ტურნირით უკმაყოფილო ვარ. ჩვენი გუნდის და მთლიანად 74 კილოგრამი წონის ლიდერი ოლიმპიადის გარეშე რჩება.

— რთული ტრავმაა?

— მუხლის ჯვარედინი იოგები აქვს დაწყვეტილი. ჯერ არ ვიცით, რამდენ ხანში გამოჯანმრთელდება, მაგრამ ტაშკენტამდე ნამდვილად ვერ მოასწრებს. გერმანიის ნაკრების ექიმმა ნახა და ოპერაცია გარდაუვალიაო, გვითხრა. არადა, ისეთ ფორმაში იყო, ლიცენზიას აუცილებლად აიღებდა. ტრავმა პირველივე შეხვედრის დასაწყისში მიიღო, მაგრამ ბრძოლა მაინც გააგრძელა და აშკარა უპირატესობითაც გაიმარჯვა. ამის შემდეგ ტკივილი იმდენად აუტანელი გახდა, ხალიჩაზე გასვლაც ვეღარ შეძლო.

— თუ იცით, ამ მუხლს აღრეც შეუწუხებია?

— ორი წლის წინათ დაიზიანა, თუმცა მაშინდელი ტრავმა მსუბუქი იყო და ერთ კვირაში მოიშუშა.

— ათიოდ დღეში ბოლო სალიცენზიო ტურნირია. ხასაიას შემცვლელი თუ დაასახელეთ?

— უმთავრესი კანდიდატი ტარიელ მელელაშვილია. ტაშკენტში ალბათ მას წავიყვან. არიან სხვა ნიჭიერი ბიჭებიც, მაგრამ უპირატესობა გამოცდილებას მივანიჭეთ. რაც უნდა იყოს, ორ ოლიმპიადაზე ნამყოფი სპორტსმენია.

— რამდენად რეალურია 74 კილოგრამში ლიცენზიის აღება?

— ალბათ ძალიან გაგვიჭირდება. მელელაშვილი ძველ ფორმაში რომ იყოს, პრობლემა არ იქნებოდა. თან ამ წონაში ხუთი სერიოზული მოჭიდავეა ბოლო ტურნირის იმედად დარჩენილი. მათ შორის ძლიერი თურქი და უნგრელი ოლიმპიური ვიცეჩემპიონი.

— ირაკლი ჭოჭუასა და მირიან გიორგაძის ჭიდაობით კმაყოფილი დარჩით?

— მთავარი ამოცანა ოთხეულში მოხვედრა იყო და ეს რომ შესრულეს, კარგია. განსაკუთრებით გიორგაძემ გაგვახარა. პრობლემები ჰქონდა, მცირე ტრავმებმა შეაწუხა, მაგრამ ლიცენზია მაინც აიღო. ჭოჭუა კი აშკარად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე შარშან. მერე რა, რომ მედალი ვერ მოიგო.

— ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი გეგმა ალბათ უკვე შედგენილი გექნებათ.

— საათენოდ სრულყოფილად მოსამზადებლად ნაკრები ოთხ შეკრებას გამართავს, ორს ბორჯომში და ორსაც ზღვის პირას. საერთაშორისო ტურნირებიდან კი ივნის-ივლისში გერმანიასა და პოლონეთში წავალთ. გარდა ამისა, განვიხილავთ თურქებთან ერთობლივი ვარჯიშის ვარიანტსაც. ეს მათი ინიციატივაა.

— აპრილში შვედეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ლიცენზიანების გამოყვანას არ აპირებთ?

— ეგებ რამდენიმე მათგანი ვაჭიდავოთ, მთელი გუნდით გამოსვლა კი არ გვსურს. აქცენტი ოლიმპიადაზე გვაქვს გადატანილი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აგვისტოს თითოეული სპორტსმენი მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს.



ირაკლი ჭოჭუა და მირიან გიორგაძე საათენო სიაში ჩაეწერნენ

გუშინდელი ფოტო

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს თასი. მეორე ეტაპი. ბათუმი 1-3 მარტი



ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-მ „დინამო“ ისევ დაამარცხა

2 მარტი. ბათუმი

სტუ 77:72 დინამო

24:14 18:29 18:20 17:9

სტუ: ნიკოლაძე (15), ხეცურიანი (10), დავითულიანი (5), ბაბიაშვილი (8), ჯაფარიძე (11); მარკოიშვილი (10), შანიძე (9), ახალკაცი (4), გაგნიძე (5), მიქაძე

დინამო: ჟღენტი (11), ხოშტარია (5), გოგობერიშვილი (8), კეიდია (9), მუშკუდიანი (15); ბეუანიშვილი (15), ჩუბინიძე (5), გამყრელიძე (4), ლოსაბერიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ბასკო 96:62 რუსთავი

23:18 18:18 24:9 31:17

ბასკო: ი. ბერიშვილი (6), ბ. ბერიშვილი (3), კეშელავა (22), იმნაძე (24), ბერძენიშვილი (10); კვიმსაძე (12), მაისურაძე (11), როდუმტა (8)

რუსთავი: არწივიძე (8), ჯიმშელეიშვილი (20), ჩაჩუა (11), დანელიანი (6), ტყეშელაშვილი (9); გოგსაძე (4), ჭოჭუა (2), ტაველიშვილი (2), ლიპარტელიანი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

დინამიური დინამიტი

დინამოს მოგება ავიწყდება

ირაკლი პერტაია *ბათუმიდან*

მატჩის დაწყებამდე ტრიბუნებს შეფენილი ბათუმელები მარჩიელობდნენ, ჩვენს გუნდს „დინამო“ ისე ჰყავს გაწამებული, რომ ეგეც ჩემპიონმა განზრახ მისცეს სტუ-ს თამაში და ამით „ბასკოს“ თასის ფინალისკენ გზა მოუჭრასო. ბათუმელთა ეჭვში ჭეშმარიტების მარცვალის პოვნა შეიძლება, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „დინამოს“ არც „სტუ-ჯეოსელი“ ეხატება გულზე, ტექნიკოსებმა ბრაიკოვიჩის გუნდს ბოლო ორი მატჩი მოუგეს და თუ ამჯერადაც იმარჯვებდნენ, დინამოელები მაინც დამცირებულები გამოდიოდნენ. ჰოდა, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, რა აზრი აქვს, მგელი შეგჭამს თუ მგლის ფერი ტურაო. ასე რომ, დინამოელები ბოლო დროს შელახული პრესტიჟის აღსადგენად ეკვეთნენ სტუდენტებს.

ბრაიკოვიჩის არყოფნა „დინამოს“ დიდად არ ეტყობა. დავით უსტიაშვილი ფილოსოფიური სათვალიდან უყურებს თავისი გუნდის თითოეულ კომბინაციას და არ ცდილობს, ტაქტიკური სქემებით შეგირდების გონების გადაღლას. „სტუ-ჯეოსელი“ სწრაფი და ძალისმიერი თამაშის მიმდევარია და მის დასაჯაბნად მეტოქეს უბრალოდ ამ კომპონენტებში გაწაფულობა მართებს. „დინამომ“ როცა ეს მოახერხა, აჯობა კიდეც სტუდენტებს, მაგრამ ბოლომდე ძალა მაინც არ გასწვდა. ჯობს თავიდან მივყვეთ.

საწყისი დაზვერვის შემდეგ „დინამო“ მიხვდა, რომ მწყობრად მდგარ სტუ-ს დაცვას ვერ გაარღვევდა და შორ სროლებს მიეძალა. ამ საქმის ოსტატები რამაზ გოგობერიშვილი და არჩილ ჟღენტი მოედანზე კი იყვნენ, მაგრამ ამათ მეურვეები ტკიპასავით აკვროდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ. ამიტომაც დინამოელებთაგან პერიმეტრიდან სროლები ირაკლი კეიდიამ ითავა, რომელმაც მიზანი ვერაფრით გაისწორა. ფარიდან ასხლეტილ ბურთებს სტუდენტები იხელთებდნენ და უკანმოუსედავად უტევდნენ. გიორგი ნიკოლაძე ელვისებური გარღვევებით იოლად იხვეჭდა ქულებს და როცა ირაკლი ჯაფარიძემაც გაიგემრიელა დინამოელთა სამწამიანი, ტექნიკოსთა უპირატესობამ 12 ქულას უწია. „სტუ-ჯეოსელმა“ მცირე შესვენების შემდეგ თამაში 10-ქულიანი ლიდერობით განაახლა.

მეორე ათწუთეულის პირველ ნახევარში ბევრი არაფერი შეცვლილა. „დინამო“ ვერც სამქულიანს აგდებდა და ვერც კონტრშეტევას ახორციელებდა. მაგრამ როდესმე ხომ უნდა გამოფხიზლებულიყვნენ და ჩემპიონებმა ეს ტაიმის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მოახერხეს. ირაკლი კეიდიამ მეხუთე ცდაზე, როგორც იქნა, ჩააგდო სამქულიანი და დინამოელებს ხელფეხი გაეხსნათ. თუმც უპრიანი იქნება, თუ ამას „დინამოს“ ორ კალათბურთელზე ვიტყვით, დაცვაში ათამაშებულ და მიზანგასწორებულ კეიდიას დავით მუშკუდიანმა აუწყო ხელ-ფეხი. დინამოელთა ცენტრი ორივე ფარზე გამაგრდა და მოხსნებს არავის უთმობდა, შეტევაში ჯარიმებით თუ აჩერებდნენ სტუდენტები. ანგარიში გათანაბრდა და ამ დროს მოედნიდან მოულოდნელად გაიხმეს თამაშში გარდატეხის შემტანი კეიდია. უსტიაშვილი „კეიდის“ სამმა პერსონალურმა შეაშფოთა და მისი დასვენება გადაწყვეიტა.

მოედანზე გამოსულმა ზურაბ ჩუბინიძემ მთლად კეიდიაობა ვერ გასწია, მაგრამ დაცვაში დადგა და მუშკუდიანთან ტანდემში სტუ-ელთათვის გადაულახავ ბარიერად იქცა. დაცვა დაცვად, შეტევაში კი ვლადიმერ ბეჟანიშვილმა გამოიღო ხელი და მისი მეოხებით 5-წუთიანი მონაკვეთის 20:5 მოგების შემდეგ დინამოელები ტაიმის ბოლოს 5 ქულით დაწინაურდნენ. თუმც სტუდენტებმა ლუკა შანიძემ და გიორგი გაგნიძემ დიდ შესვენებამდე 3-ქულიანების მონადირება მოახერხეს და „დინამომ“ 43:42 მოიგო პირველი ტაიმი.

დიდი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა კეიდია, მუშკუდიანი კვლავ მეფობდა ფარქვეშ და მესამე მეოთხედის საწყისი 4 წუთი ისე მიილია, სტუ-მ ქულა ვერ ჩააგდო. „დინამომაც“ უმალ მოიმკა შედეგი და 7 ქულით წაიწია. ამ დროს ტექნიკოსთა ცენტრ ირაკლი ჯაფარიძეს 4 პერსონალური დაუგროვდა და სტუ-მ მეფარეების გარეშე განიზრახა დინამოელთა გატეხვა. ამ ტაქტიკამ თავიდან არ გაჭრა, რაკი „დინამოს“ მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილმა გოგობერიშვილმა, ფარქვეშ მაღლები არ მეგულებაო და ტექნიკოსთა სამწამიანში შლიგინს მოუხშირა. დინამოელთა 7-ქულიანი უპირატესობა მესამე მეოთხედის ბოლო წუთებში კიდევ გაიზარდა და ვინძლო კიდევ მოიმატებდა, მოედანზე ტექნიკოსთა ფეხმარდი ფორვარდი გიორგი მარკოიშვილი რომ არ გამოჩენილიყო. „მარკოს“ შურდულგარღვევების წყალობით სტუ-მ ანგარიში შეამცირა და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 3 ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს.

„დინამომ“ ისე დაიწყო ბოლო მეოთხედი, კაცი იფიქრებდა, ეგაა და უსტიაშვილის ბიჭებმა თამაში მოიგესო. ბეჟანიშვილმა ჯერ ორქულიანი და მერე სამიანიც გაისროლა და საფინალო სირენამდე შვიდიოდ წუთით ადრე „დინამო“ 8 ქულით დაწინაურდა. თუმც აქ უკუღმა დატრიალდა ჩემპიონთა ბედის ბორბალი. უსტიაშვილის სამწყსოს თითქოს რაღაც ავმა ბუზმა უკბინაო, ბურთის ჩაგდება რაა, ზუსტი პასის გაკეთებას ვეღარ ახერხებდნენ. ტექნიკოსებსაც მეტი რა უნდოდათ, რაგინდარა პოზიციიდან ზედიზედ ყრიდნენ ბურთებს და შიო ხეცურიანმა სამქულიანი რომ მიითვალა სირენამდე 5 წუთით ადრე სტუ-მ მეორე მეოთხედში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა — 69:68.

ძლიერ და ჩემპიონობის პრეტენზიის მქონე გუნდს სწორედ გადამწყვეტ მომენტში მართებს საკუთარი ძალის დამტკიცება, მაგრამ „დინამო“ ისეთი აჭრილი იყო, დარჩენილ დროში თამაშის გადარჩენის შანსის გამონახვაც კი ვერ მოახერხა. ის შემართება და გამარჯვებისკენ ლტოლვა, რაც დინამოელებმა მეორე-მესამე მეოთხედში გამოავლინეს, გადამწყვეტ წუთებში თითქოს შავი ზღვიდან მონაბერმა ქარმა სადღაც წაიღო. ჩემპიონებმა ვერც სამქულიანი ჩააგდეს და ტექნიკოსთა პრიმიტიული შეტევებიც ვერაფრით შეაჩერეს. შედეგად „დინამოც“ დამარცხდა და ტრიბუნაზე მჯდომ მავან ბათუმელს ის ეჭვი გაუმყარა, რასაც ის ამ მატჩის დაწყებამდე ფიქრობდა.

ამ გამარჯვებით „სტუ-ჯეოსელმა“ ფინალში თამაში დაიბევა, რა თქმა უნდა, თუ ის დღეს ბათუმში ტურისტად ჩამოსულ „რუსთავთან“ არ წააგებს. ფინალის მეორე საგზურს ალბათ „დინამო“ ირგებს, რაკი უსტიაშვილის ბიჭები მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩებიან მშრალზე, თუ დღეს „ბასკოსთან“ 28 ქულაზე მეტით დამარცხდებიან.

თუ დღეს ბათუმელებმა დინამოელებს მოუგეს, სამ გუნდს — „სტუ-ჯეოსელს“, „ბასკოს“ და „დინამოს“ თანაბარი ქულები უგროვდებათ და ამათში უარესი ბურთების შეფარდება მასპინძელ აჭარლებს აქვთ. როგორც ზემოთ ვთქვით, ბათუმელებმა დღეს მინიმუმ 29 ქულით უნდა სძლიონ „დინამოს“, რომ ფინალში მათი ადგილი დაიკავონ... თუ უსტიაშვილის გუნდი მართლაც ისეთი სუსტია, როგორც ეს სტუ-სთან პირველ და ბოლო მეოთხედებში გამოჩნდა, მაშ 29 ქულით „ბასკოს“ გამარჯვება სულაც არ გახლავთ ფანტასტიკა. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბათუმელებმა ერთი კვირის წინ 21 ქულით დატუქსეს დინამოელები თავის ბრაიკოვიჩიანად.



დინამოელი რამაზ გოგობერიშილი სტუ-ელ გიორგი ნიკოლაძეს არ ატარებს

რეგულარული ჩემპიონატი



მარკ ბლუნტი ბოლო 10 წელიწადში პირველი ბოსტონელია, რომელმაც ერთ თამაშში 20 ქულაზე და 20 მოხსნაზე მეტი გაჩარხა

1 მარტი

ბოსტონი 117:96 ორლანდო

ბოსტონი: ეტკინსი (17), ველში (4), პირსი (25), ბ. ჰანტერი (7 ქულა, 12 მოხსნა), ბლუნტი (28 ქულა, 21 მოხსნა); დევისი (19), მაკარტი (9), მიმი (3), ბენქსი (2), სტიუარტი (2), ჯონსი (1), პერკინსი

ორლანდო: ლუ (1 ქულა, 11 პასი), სტივენსონი (12), მაკგრეიდი (29), გუდენი (4), ს. ჰანტერი (6); ბოგანსი (14), რუქსი (6), პენიჯარი (6), ფაჩულია (10 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), გეინსი (2)

სან ანტონიო 80:81 მემფისი

სან ანტონიო: თურქოღლუ (19), ნესტეროვიჩი (18 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება)

მემფისი: რაიტი (12)

იუტა 94:86 დეტროიტი

იუტა: გირიჩეკი (24)

დეტროიტი: რ. ვოლესი (27), ბ. ვოლესი (9 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება, 4 ჩაჭრა)

ვაშინგტონი 111:106 ნიუ ორლეანი

ვაშინგტონი: არენასი (35 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

ნიუ ორლეანი: დევისი (33 ქულა, 11 პასი, 6 ჩაჭრა, 5 მოხსნა), მაშბურნი (28), მალუა (18 ქულა, 14 მოხსნა)

ჩიკაგო 92:81 კლივლენდი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (22), დევისი (18)

კლივლენდი: ილგაუსკასი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯეიმსი (18)

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	36	22	62,1
ნიუ იორკი	26	35	42,6
ბოსტონი	26	36	41,9
მაიამი	25	35	41,7
ფილადელფია	24	36	40,0
ვაშინგტონი	19	39	32,8
ორლანდო	17	45	27,4
ცენტრალური			
ინდიანა	43	16	72,9
დეტროიტი	38	25	60,3
მილუოკი	32	27	54,2
ნიუ ორლეანი	32	28	53,3
ტორონტო	25	34	42,4
კლივლენდი	24	36	40,0
ატლანტა	19	40	32,2
ჩიკაგო	18	42	30,0

დასავლეთი

შუა-დასავლეთი			
მინესოტა	43	17	71,7
დალასი	38	20	65,5
სან ანტონიო	39	21	65,0
მემფისი	36	24	60,0
ჰიუსტონი	34	25	57,6
დენვერი	33	28	54,1
იუტა	31	30	50,8
წყნარი ოკეანე			
საკრამენტო	43	15	74,1
ლეიკერსი	38	20	65,5
პორტლენდი	29	30	49,2
სიეტლი	27	32	45,8
გოლდენ სტეიტი	25	33	43,1
კლიპერსი	25	33	43,1
ფინიქსი	20	41	32,8

ხერხმა აჯობა ღონესა
ფილიპუსისი ისევ დაამდაბლეს

THE DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS

ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $

პირველი წრე

ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — რაინერ შუტლერი (3, გერმანია) 3:6, 6:4, 6:4; ოლივიე როხუსი (ბელგია) — მარკ ფილიპუსისი (5, ავსტრალია) 6:2, 7:6 (10:8); ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 6:4, 3:6, 7:6 (7:3)

კაცთა დუბაობის საიმღლევანდლო მატჩებისთვის ეგებ არავითარი ყურადღებაც არ დაგვეთმო, ყველაფერი ლოგიკურად რომ გასრულებულიყო. მაგრამ, რაკიღა იმ დღეს კორტზე გასული სამივე განთესილი დაიჩოგნა, ჩვენც იძულებული შევიქენით თათარიახნად წაგვეორსამაბზაცებინა.

წლეულს მეხუთე ტურნირზე გამოდიოდა და ამ ხუთიდან უკვე მეოთხეზე აოტეს პირველი წრიდან შარშანდელი სეზონის ყველაზე „განვითარებული“ კაცი რაინერ შუტლერი. 27 წლის გერმანელს უსახელო თვისტომი, ტურნირზე კვალიფიკაციებიდან გაღწეული ფილიპ კოლშრაიბერი მოერია. ეს კოლშრაიბერი 20 წლის ყმაწვილია, მსოფლიო რეიტინგსიაში 164-ე ადგილზე დგას და აღმა-დაღ?ა მწვრთნელის გარეშე დაიარება.

ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია ზორბა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა, ვინაც წლეულს შუტლერისებრ ფინაჩად ირჯება. კორტის დონიდან 193 სანტიმეტრის ამთვლელ ოზს მასზე 28 სანტიმეტრით დაბალმა ბელგიელმა ოლივიე როხუსმა აჯობა.

ტიმ ჰენმანს კი ჩოგანი უსახელო ჩეხმა, მასთან წინა ორ შეხვედრაში დამარცხებულმა ტომაშ ზიბმა დააშალითებინა. ჰენმანი თითქოს რიგიან ფორმაში იყო, იმისიქითა კვირაში, როტერდამობის ნახევარფინალში გასასვლელად როჯერ ფედერერსაც კი აჯობა, მაგრამ ზიბთან განდაგანისას მაინც ძალზედ მოჟანგულად გამოიყურებოდა. ჩემგან რა გინდათ, ზიბმა დღეს კაცურად ითამაშაო, ასე იმართლებოდა ნამატჩევს.

ტიმ ჰენმანს ვინმე ტომაშ ზიბმა მოუგო

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეგისტრაციაში გასავლელად და ასოციაციის წევრის ახალი მოწმობის (2004-2005 წ.წ.) მისაღებად გთხოვთ, 4-დან 12 მარტამდე მოგვმართოთ ასოციაციის ოფისში. მისამართი: რუსთაველის 42, მეხუთე სართული. ტელეფონი: 99-08-22 თან იქონიეთ ორი ფოტოსურათი

NHL **რეგულარული ჩემპიონატი**



„ნეშვილის“ მეკარემ ტომაშ ვოკოუნმა ჩიკაგოელი კოლეგა მარკ ბელი ბორტს მიასრისა

ტამპლინი
ავტორიტეტებს ურტყამენ!

1 მარტი

კოლორადო 0:3 ტამპა

0:1 0:0 0:2

0:1 რიჩარდსი (6), 0:2 ლეკავალიე (55), 0:3 სან ლუი (59)

„ტამპასთვის“ აღარ არსებობს ავტორიტეტი. არც ის ანაღვლებს, შინ თამაშობს თუ სტუმრად. ორშაბათს „ელვებმა“ „კოლორადოც“ კი არ დაინდეს და დასავლეთის ერთ-ერთი გრანდის ძლევის შემდეგ აღმოსავლეთ კონფერენციის პირველ ადგილზე აღზევდნენ. ასეთი წარმატება ამ გუნდის 13-წლიან ისტორიას არ ახსოვს. სრულიად ლიგის ლიდერ „დეტროიტს“ ტამპელები ერთი ქულითღა ჩამორჩებიან, ისევე როგორც ბომბარდირთა დავაში მათი ლიდერი მარტენ სან ლუი აწ უკვე დეტროიტელ რობერტ ლანგს (შესაბამისად 76 და 77 ქულა). საინტერესოა, რომ ეს ერთ კალეგ შაბათს სან-ლუის ლიდერობდა ბომბარდირთა დავაში. მაგრამ ეფექტიანობა ნგმა დეტროიტელი ლიდერი ... თბაშად 3 პასით აღნიშნა მაშინ, როცა „ჯუჯა“ ტამპელმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა, ისიც ცარიელ კარში გაიტანა.

გადამწყვეტი კი ბრედ რიჩარდსის პირველი შაიბა გამოდგა, ვინაიდან ტამპელთა მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინმა გოლი არ გააჭაჭანა კარში. თუმც ესეც მთელი გუნდის დამსახურებაა. ვის ახსოვს, „კოლორადოს“ მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ 16-ჯერ დაერტყას.

„ტამპამ“ ზედიზედ მეხუთედ მოიგო, ხოლო დენვერელებს ბოლო 7 საშინაო მატჩში ერთხელაც არ უმარჯვიათ. ამ გარემოებამ ყოველთვის მშვიდი პოლ კარიაც კი გააცხარა. „მას შემდეგ, რაც „სენტ ლუისსა“ და „დეტროიტს“ გავუმკლავდით, მეგონა, ჩვენი მძლეველი არ გამონდებოდა, მაგრამ სრულიად საპირისპირო რამ მოხდა. საზიზღარ ჰოკეის ვთამაშობთ და არ ვიცი, რატომ“ — თქვა ნახევრად იაპონელმა კოლორადელმა.

მონრეალი 2:1 ნიუ ჯერსი

0:0 1:0 1:1

1:0 ზედნიკი (25), 1:1 სტივენსონი (28), 2:1 უორდი (60)

ნეშვილი 2:2 ჩიკაგო

0:1 0:0 2:1 0:0

0:1 არნასონი (4), 1:1 უოკერი (5), 2:1 ტიმონენი (57), 2:2 კიტი (59)

მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები საფინალო სასტვენის შემდეგ მოხდა. დასრულდა ოვერტაიმი და დიდი შეხლა-შემოხლაც დაიწყო მეკარეების — ჩიკაგოელ ადამ გუნროს და ნეშვილელ ტომაშ ვოკოუნის მონაწილეობით.

შვედურმა გაზეთმა ტყუილები დაწერა

შვედეთის გაზეთ „ავტონბლადეტის“ მიერ შაბათს გამოქვეყნებული ინფორმაცია კოლორადელი პეტერ ფორსბერგის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე ტყუილი აღმოჩნდა. ამის შესახებ 1 მარტის „სარბიელში“ გაცნობეთ და იმავე დღეს თვით ჰოკეისტმა უარყო ეს ჭორი.

„სიმართლის ნატამალი არ იყო იმ წერილში. მე საერთოდ არ მილაპარაკია გაზეთის თანამშრომლებთან. ასე რომ, ეს სავსებით შოკისმომგვრელია ჩემთვის. ცხადია, კლუბ „მოდოსთანაც“ არანაირი მოლაპარაკება არ მქონია“ — განაცხადა სუპერვარსკვლავმა.

თუმც შვედმა ისიც აღნიშნა, ოდესმე სამშობლოში რომ დავბრუნდები და მშობლიურ კლუბში ვითამაშებ, არასდროს დამიფარავსო.

„ერთხელ ვთქვი ამის თაობაზე და მერე გაზეთი ყოველ წელიწადს ამ ინფორმაციას აქვეყნებს. ოდესმე მათი ვარაუდი გამართლდება“ — დასძინა „ეველანშის“ ლიდერმა.

მოგეხსენებათ, მომდევნო სეზონში ლიგას ლოკაუტი ემუქრება და გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია თითქოს სიმართლესთან ახლოს იდგა. ამიტომ ფორსბერგი ლოკაუტის პრობლემებსაც შეეხო: „ცხადია, თუ ჩემპიონატი დიდი ხნით გადაიდო, ჩავალ ევროპაში და სწორედ „მოდოში“ ვითამაშებ, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. სეზონი დამთავრდეს და მერე ვნახოთ, რა მოხდება.“

შეგახსენებთ, გაზეთში გამოქვეყნებული მასალა იმიტომ აღიქვა საზოგადოებამ სენსაციად, რომ იქ ეწერა, იქნება ლოკაუტი თუ არა, ფორსბერგი მაინც დაბრუნდება შვედეთშიო.

სამფელ ლარიბიანი

ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

X ტური

გარი კასპაროვი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 1:0
ფრანსიკო ვალეხომ (ესპანეთი) დაისვენა

ლეკოს ჩემპიონებზე დიდი აქვს

წინა ტურში კასპაროვის გამამწარებელმა რაჯაბოვმა მსოფლიოს სხვა ჩემპიონ კრამნიკსაც არ დააყენა კარგი დღე. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, როცა რუსმა და აზერბაიჯანელმა სწრაფი ყაიმით დაასრულეს პარტია, მომდევნო შეხვედრაში რუსმა გულშემატკივრებმა თანამემამულეს იოლი გამარჯვება უწინასწარმეტყველეს. ბაქოელი ვუნდერკინდი კი ასეთმა დაუფასებლობამ ისე აღაშფოთა, რომ განმეორებით შეხვედრაში კრამნიკის ფიგურებს დებიუტშივე ეტაკა, თუმც სისწრაფეში რაღაც სწორად ვერ გათვალა და ცენტრში თეთრები გაბატონდნენ. რუსი დიდი ძალებით მაწვა აზერბაიჯანელის არეულ რიგებს, მაგრამ კასპაროვთან გამოწრთობილმა თეიმურმა დაცვაში სწორად ითამაშა და მეტოქეს ნახევარი ქულა დასტყუა.

ლიდერების, ლეკო-კასპაროვის შეხლა ტურში ყველაზე ხანმოკლე გამოდგა.

დებიუტში ლეკომ იაქტიურა და თეთრებს სამოძრაო გზები მოუჭრა. მდგომარეობის გამოსასწორებლად კასპაროვმა შავი ფიგურების რბევა დაიწყო და თამაში ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა, თუმც მე-17 სვლაზე ორივე მიხვდა, რომ პარტია ყაიმისკენ მიდიოდა და ორ სვლაში ყველაფერი ხელის საზავო ჩამორთმევით დასრულდა.

ამ შედეგით ლეკო კიდევ უფრო მიუახლოვდა სანატრელ ჯილდოს და დიდი შანსია, ზედიზედ მეორედ ჩაიხუტოს იგი. უნგრელს მთავარ კონკურენტებზე ერთით ნაკლები პარტია აქვს ნათამაშები და კალენდარიც უფრო ხელსაყრელი.

ესპანური პარტია გაითამაშეს ტოპალოვმა და შიროვმა. ბულგარელმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, საკუთარი მეფის სიახლოვეს დიდძალ არტილერიას მოუყარა თავი და შავ ხელმწიფისკენ მიმართა. მათ დასაშლელად შიროვმა ეტლიდან ერთი-ორი გაისროლა, თუმც მიზანს?ა უმტყუნა და 45-ე სვლაზე დანებება არჩია.

ლაზა გეგეჭკორი

1 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	5 ;ქულა/8 თამაში
2 ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	5/9
3 გარი კასპაროვი (რუსეთი)	5/9
4 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	4/8
5 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	4/9
6 ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი)	3,5/8
7 თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	3,5/9

პილოტები და გოლიათები

ამ კვირას ავსტრალიის დიდი ბრიზით გაიხსნება საფორმულე სეზონი. მელბურნში თავმოყრილ პილოტებს თავიანთი საქმის გოლიათებად ვიცნობთ, მაგრამ ნამდვილი გოლიათები კი მელბურნის „თავისუფლების გოლიათთა“ გუნდში ყოფილან. ჯორდანელი მრბოლები ჯორჯო პანტანო (მარცხნივ) და ნიკ ჰაიდფელდი ღიმილით ასცქერიან ოზ კალათბურთელებს, ბენ პეპერს (მარცხნიდან მეორე) და გარი ბუდნიკოფს.



REUTERS მელბურნიდან



REUTERS ბოსტონიდან

დრაგილა ფორმაში

მსოფლიოში გრძელდება მძლეოსანთა ჭერქვეშა შეჯიბრებები. ჭოკით ხტომის ოლიმპიურ ჩემპიონ სტეისი დრაგილას ამერიკის ღია პირველობა მოუგია, რასაც 15 ფუტსა და 5 ინჩს გადავლებია, რაც 4,70 მეტრს ნიშნავს.

მაშველები

ამ ჯეელებმა მთელი თავიანთი საწყალოსნო ოსტატობა უნდა აჩვენონ, რათა „წითელი ჯვრის“ წყალმაშველები შეიქნენ. სალვადორში ამ საერთაშორისო ორგანიზაციას მაშველთა კონკურსი გამოუცხადებია და შეჯიბრში სამასი მსურველი ჩართულა.

REUTERS ლოს ანჯელესიდან

პირველი

4 მარტს გახურდება გოლფის ერთ-ერთი დიდი შეჯიბრი, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ეს ქალბატონი, მიენ ბეგერი ამ შეჯიბრის მონაწილე იქნება. საინტერესო კი ის არის, რომ ცხრა წლის წინ ეს ქალი კაცი იყო და ისტორიაში პირველი ტრანსსექსუალი გამოდგება, ქალთა შეჯიბრში რომ დაუშვეს.



REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge